რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 25 ივლისი 1917

ერთობა

ფასი 10 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზედ [illegible]. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; [illegible] 5 მანეთი [illegible]—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible]

ფულის მოწერილობა უნდა შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ почт. ящ. 129. Власію Малахіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მიიღება მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათ. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 105 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 105

ძმები: კოლა, ვალოდია და ლევან მარსაგოვები გულდაწყვეტილნი აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს

გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის

უდროოთ გარდაცვალებას.

სოლომონი, ანნა და ოლია [illegible] დიდის მწუხარებით ვუწყებთ ყველა ამხანაგებს და ნათესავებს ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ნათლიის

გიორგი პეტრეს ძე მარსაგოვის

უდროოთ გარდაცვალებას.

გულდამწუხრებულნი: დედა პელაგია მანუჩარის ასული, მეუღლე განსვენებულისა მარიამ ალექსანდრეს ასული, შვილი კუკური, და ელენიკა, ძმები უშანგი (სიმონ), რძალი მარიამ კონსტანტინეს ასული და ძმის შვილები სერგო და თამარ ელიავები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 22 ამ თვეს დ. წადვერში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი

ჭიჭიკო (ალექსანდრე) თომას ძე ელიავა

რომლის ცხედარს წაასვენებენ 24 ივლისს ს. ღანირს (ქუთაისის მაზრა). დაკრძალვა მოხდება წმ. ნდა გიორგის ეკლესიის გალავანში, პარასკევს, 28 ივლისს, დილით 12 საათზე.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თფილისის პოლონელების საყურადღებოდ

პოლონურ ორგანიზაციათა აღმასრულებელი კომიტეტი თბილისში მოუწოდებს თბილისელ პოლონელებს ქალაქის საბჭოს არჩევნებში 30 ივლისს

ხმა მისცენ კანდიდატთა სიას № 1,

რომელშიაც შეტანილია თვ პოლონელ ორგანიზაციათა აღმასრ. კომიტეტის კანდიდატები.

ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!

თფილისის მცხოვრებთ.

მუშებო, ჯარის-კაცებო, მოქალაქენო!

ხმა მიეცით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

ოცდა ათ ივლისს თქვენ უნდა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოთ ქალაქის თვითმართველობის ძველ რეჟიმს და ფართოდ გაუღოთ მუნიციპალიტეტის კარები რევოლუციურ დემოკრატიას.

ერთი მუჭა მდიდრები და მათი დამქაშები, რომელნიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში იყვნენ გაბატონებული ქალაქის თვითმართველობაში, ამ დღეს უნდა გამორეკილ იქნენ ნაჩვევ ბუდიდან და მათ ნაცვლად გზა უნდა მიეცეს ჩვენი ქალაქის ნამდვილ ბატონ-პატრონებს.

30 ივლისს ხალხი შედის თავის უფლებაში, ქმნის ახალ თვითმართველობას, ახალ საბჭოს, ახალ მეურნეობას, და ამასთან ერთად ძლიერ და მტკიცე ციხე-სიმაგრეს უმზადებს რუსეთის დიდ რევოლუციას.

და აი, დგება საკითხი: ვის უნდა მიანდოს ხალხმა ეს დიადი საქმე? ვის, რომელ პარტიას ჩააბაროს ქალაქის თვითმართველობის სადავე, რომ ერთგული, თავდადებული დამცველები მოუპოვოს რევოლუციას და ქალაქის მეურნეობაში ხალხის ინტერესებს?

ათამდე პარტიები და ჯგუფები ეცილებიან ერთმანეთს. თვითეული მათგანი თავი მოაქვს ხალხის ნებასურვილის საუკეთესო გამომხატველად და მისი ინტერესების საუკეთესო დამცველად. მაგრამ ხალხი თვით უნდა გაერკვეს ამაში, გაარჩიოს ნამდვილი მეგობრები, არანამდვილთაგან, გმირული მებრძოლნი, მოღალატეებთაგან, მოკეთენი—მტერთაგან და ასე, გაცნობიერებული მივიდეს საარჩევნო ყუთთან თავის საბოლოო განაჩენის გამოსატანად.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა?

ქალაქის თვითმართველობის დემოკრატიზაცია ნიშნავს პირველ ყოვლისა მასში გაბატონებულ ჯგუფების და პლუტოკრატ-ნაციონალისტური ელემენტების იქიდან განდევნას. მაშასადამე, ის პარტიები, რომელთა სიაში დღესაც შეტანილი არიან ეს ძველი რეჟიმის მოსაქმენი, ცხადია ხალხის ნდობით ვერ ისარგებლებენ. გადაათვალიერეთ სახმოსნო კანდიდატების სია „ხალხის თავისუფლების" (კადეტების) № 7 პარტიის, დაშნაკელების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა მათი მონათესავე ჯგუფების და თქვენ იპოვით მათში ძველ საბჭოს ბურჯებს, დღემდე გაბატონებულ პლუტოკრატიის ლიდერებს და მათ მიმყოლთ. ხატისოვი დაშნაკცაკანთ ქვეშ, არღუთინსკი სოციალისტ-რევოლუციონერთა გვერდით, ქართული ნაციონალ დემოკრატებთ, ერთი სიტყვით, ძველი საბჭოს სულის ჩამდგმელი, ყველას ესა თუ ის პარტია მოუნახავს თავის შესაფარებლად, რომ ამ გზით ამრჩეველთ თვალები აუხვიონ, ისევ ძველ, შეჩვეულ თბილ ადგილს დაუბრუნდნენ და საზოგადოებრივ სუფრაზე ძველებურათ წამოასკუპდნენ.

მოქალაქენო, ეს ხომ პირდაპირ შეთქმულობაა ძველი საბჭოს წევრების მხრივ ახალი სახალხო საბჭოს წინააღმდეგ. ყველა მათ შემფარებელ პარტიებსაც თითქო პირი შეუკრავთ, რომ ფაქტიურათ ახალ საბჭოს მართვა გამგეობაც ისევ ძველი, უარყოფილი მოღვაწეების ხელში ჩაიგდონ.

და განა მათ შეუძლიათ სხვანაირათ მოქცეულიყვნენ? ვინ არიან ეს პარტიები? კადეტები, ეს იგივე ძველი პლუტოკრატიული საბჭოს ბატონ-პატრონებია, ეს ერთი მუჭა მდიდართა ჯგუფია, რომელნიც დღემდე მიხვრეხვლულათ ითამაშებდნენ ხელს საზოგადო სუფრის გარშემო და რომელნიც დღეს მილიუკოვის პირველ ბრძანებისთანავე რევოლუციას გაექცნენ, რევოლუციის დეზერტირობა და მოღალატეობა იკისრეს.

ადგილობრივი სოციალისტ-რევოლუციონერები, რომელთაც არავითარი ნიადაგი არ მოეპოვებათ კავკასიის ერთა ყოფა-ცხოვრებაში, და რომელნიც ამიტომ ძალიან ბუნებრივათ გადაიქცნენ გადმოსახლების სამმართველოს მოხელეთა, პლუტოკრატიის გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს" თანამშრომელთა, და ყველა რანგისა და ჯურების კარიერისტთა პარტიად, არ არიან და ვერც გახდებიან ჩვენში სახალხო პარტიათ, ფართო მასსის ინტერესების გამომხატველათ. ისინი ისე როგორც ერთი დღით გაჩნდნენ 1905 წელს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე, მალე ისე მიიმალნენ, რომ თავის არსებობის ნიშან-კვალიც არ დაუტოვებიათ. მხოლოდ ახლა გამოცოცხლდნენ ხელახლა და ამაჟღერდნენ. ადგილობრივ კი მათ არავითარი რევოლუციური წარსული არ აქვთ, არც რაიმე რევოლუციონური ღვაწლი მიუძღვის.

აი ამიტომ ამ პარტიას ჩვენში ასე იოლად დაეპატრონენ ძველი საბჭოს მოსაქმენი, ფარული ნაციონალისტები, სხვადასხვა ჯურის ლიბერალები და საერთოთ ყველა ის ელემენტები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ არც რევოლუციასა და არც დემოკრატიასთან. თითო-ოროლა წრფელი სოც. რევ. ისე ინთქმებიან საერთო რიცხვში, როგორც ზღვაში მთის ნაკადულები, და მათ ფეხს ვერ მისჩანჩალებენ. ყველა ამას ისიც ემატება, რომ ეს პარტია ხელ-ხელ ჩაკიდებული მიდევს ყველა ადგილობრივ ნაციონალისტურ პარტიებს და მხარს უჭერს მათ ბრძოლას ერთად ერთ ინტერნაციონალისტურ პარტიის, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

დაშნაკცუტუნი? აბა რა დამოკიდებულება აქვს ამ პარტიას რუსეთის რევოლუციასა და დემოკრატიასთან? როდის [illegible] მათ ან ერთი [illegible] 1905 [illegible] რევოლუციის დროის მათ თავისი მოღალატეობით ხელი შეუწყვეს თათარ-სომეხთა ელეტას, შემდეგ კი ერთმანეთის ღალატობენ და ამდენ ნიადაგი მოუმზადეს სასამართლოს პროცესებს და საბოლოო განაჩენებს. მკაცრი სასჯელით შეშინებულებმა ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობას შეაფარეს თავი. ფორმალური პირობა [illegible] რუსეთის თვითმპყრობელობის [illegible] კონსტანტინოპოლში მეფის მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული [illegible] ოსმალეთის საზღვრებში. [illegible] მთავრობის პარტიათ იქცევა, რომ მისგან [illegible] პატივება მოეპოვებინათ. ამ ხანებში მოაწყვეს მოხალისეთა რაზმები ოსმალეთის სომხეთში არეულობის გასაჩაღებლათ და ამით საბაბი მისცეს ოსმალეთის მთავრობას იქაური სომხების ამოჟლეტისა. აი ასეთია მათი მოღვაწეობის ფორმულიარი ამ უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში. ახლა კი ერთბაშად რუსეთის რევოლუციას შეეკედლნენ და ამ ახალი დროშის ქვეშ ცდილობენ თავის ძველ კალთამოწყვეტილი პოლიტიკა განაგრძონ. ეს პარტია დღესაც სულ იმის ცდაშია, რომ ერთმანეთს გადაჰკიდოს ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი და სხ. ერები, ასეთია მისი ნაციონალისტური ბუნების მოთხოვნილება და სწორედ ეს იყო მიზეზი იმის, რომ ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობამ უარყო ამ პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ზურგი შეაქცია მის სისხლიან დროშას და თავის სავალ გზათ დაისახა ნაციათა სოლიდარობის განმტკიცება.

ამიერ-კავკასიის ნაციონალისტურ პარტიათა შორის, დაშნაკცუტუნი, ყველაზე ძლიერი პარტიაა და ამიტომ ყველაზე მავნებელი. მხოლოდ ამ პარტიის დაუძლევლობა და დარღვევა მოგვცემს მკვიდრ ნიადაგს მტკიცე, ბუნებრივ ინტერნაციონალურ სოლიდარობის დასამყარებლად მშრომელთა შორის. რა უნდა ვთქვათ ჩვენს ფედერალისტებსა და ნაციონალ-დემოკრატებზე, ამ უჯარო სარდლებზე, რომელთაც არც აუდიტორია ჰყავთ, არც დემოკრატია? ესენი გარიყულნი დარჩნენ. რასაკვირველია დემოკრატია მათ არ მიჰყვება. სხვა წვრილ ნაციონალისტური პარტიები ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან.

ყველა ჩამოთვლილი პარტიები ერთ მონათესავე ჯგუფს შეადგენენ, ერთმანეთს მხარს უჭერენ, ერთი-მეორის გაძლიერებას ცდილობენ. ადგილობრივი სოც. რევოლუციონერები, ნაციონალისტები, ლიბერალები—ეს ყველა ერთი და იმავე წრის ხალხია, ერთი მისწრაფების, ერთი ტენდენციის; მათი ერთმანეთში გამორჩევა, მათ შორის განსხვავებული ხაზის გაყვლება, მკაფიო თვალსაჩინო საზღვრის გატარება შეუძლებელია; პირიქით ასეთი საზღვარი მათ შორის თითქმის უჩინარია, და ამით ერთი მეორეში გადასვლა გამოსვლა გაადვილებულია, ჩვეულებრივ მოვლენათ გადაქცეულა: დღევანდელი ლიბერალი, ხვალ სოციალისტ-რევოლუციონერია, ზეგ ნაციონალისტი შემდეგ ისევ ლიბერალი და ასე დაუსრულებლად. აი ამიტომ მათ სიაში აუცილებლათ უნდა მოყოლოდნენ და მოყვნენ კიდეც პლუტოკრატიის ყველა მეთაურნი და მემარჯვენეები, ვინაიდან იგინიც ბურჟუაზიის ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი არიან.

მხოლოდ ერთად-ერთი სოციალ-დემოკრატია იმ ჯგუფს მათგან აშკარად, მკაცრად, და არჩევნებში ასეთი კანდიდატების სიით გამოდის, რომელნიც დიდიხანია ცნობილი არიან, როგორც ერთგული დამცველნი რევოლუციისა და დემოკრატიის. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ ძველ საბჭოელს, ვერც ერთ პლუტოკრატიის მომხრეს. ეს ერთად ერთი ინტერნაციონალური და სავსებით დემოკრატიული სიაა, ღირსი რევოლუციური ხალხის ნდობისა და არჩევნისა.

მართალია ჩვენგან გამოთიშული მცირე ჯგუფი ბოლშევიკების, რომელთაც სოციალ-დემოკრატიის ძველი ნაცადი დროშა ლენინის ახალ ბუნტარულ დროშაზე გასცვალეს, საკუთარი სიით გამოდის, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ მათ ჩვენთან არაფერი საერთო არა აქვთ. ჩვენს მტკიცე, ფართო მასიურ ორგანიზაციას მოწყვეტილნი, ისინი იმ თავითვე თავშეკავებულად უაზრო-უკვლოთ ქანაობდნენ რევოლუციის მღელვარე ტალღებში და ბოლოს პოლიტიკური ავანტიურიზმის უფსკრულში გადაიჩეხნენ. ლენინელებმა იმდენათ გაიტეხეს სახელი, მათი მოღვაწეობა იმდენათ აისვარა კონტრ-რევოლუციონერების და პოლიტიკურ შარლატანების ბნელ მოქმედებაში, რომ არა გვგონია, რომელიმე გონიერმა ამრჩეველმა მათ მიანდოს დაცვა ქალაქის მეურნეობის და გაძლიერება რევოლუციური მოძრაობისა.

[illegible] ბოლშევიკებმა, რომელთაც შერჩნენ ძველ პარტიულ დროშას და არ გაჰყვნენ ლენინელებს, ჩვენთან ერთად მუშაობენ და ჩვენ საარჩევნო სიაში შედიან.

მხოლოდ ამ სიას, (ამ სიას პირველი ნომერი უზის,) თავდებობას კისრულობს საოლქო კომიტეტი, ის კომიტეტი, რომელიც 12 წლის მტკიცეთ დგას თავის საპასუხისმგებლო პოსტზე, ენერგიულად ხელმძღვანელობს ადგილობრივ ყველა პოლიტიკურ გამოსვლებს და განუწყვეტლივ თავდადებით ეწევა და ეწევა რევოლუციურ და კულტურულ მუშაობას; ის კომიტეტი, რომლისთვისაც თქვენ არაერთხელ გამოგიცხადებიათ სრული ნდობა მის მიერ წამოყენებულ კანდიდატების ერთსულოვანი არჩევით სახელმწიფო დუმაში.

მხოლოდ პირველ ნომრის სიაში იპოვით თქვენ გამოცდილ, ბრძოლაში გამოწრთობილ, თავდადებულ დარაჯთ დემოკრატიის და რევოლუციის ინტერესების, მხოლოდ ეს სიაა ღირსი თფილისის მებრძოლი დემოკრატიის, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ აგზავნიდა სახელმწიფო დუმაში შეუდრეკელ მებრძოლთ, სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის სახელოვან ხელმძღვანელთ, და ამით პირნათლად ასრულებდა მთელი რუსეთის დემოკრატიის სახელოვან ავანგარდის როლს.

თფილისის მოქალაქენო!

მთელი კავკასია თქვენ შემოგცქერისთ, თქვენგან ელის ავტორიტეტულ გზის ჩვენებას. თქვენგან ელის მრავალ ტომიანი კავკასიის დემოკრატია საერთაშორისო სოლიდარობის საუკეთესო მაგალითის ჩვენებას, თქვენგან ელის რევოლუციის ჭეშმარიტ დამცველთა არჩევას. მიაშურეთ ყველამ საარჩევნო ყუთებს, ქალმა და კაცმა, სამხედრო პირმა და მოქალაქემ, მიაშურეთ დარაზმულნი და დაქირავებულნი, შეგნებულნი და დაჩაგრულნი და ერთხმათ გამოსთქვით თქვენი განაჩენი:

უარყავით ოპორტუნისტები მარჯვნით—კადეტ. სოციალისტ რევოლუციონერ-ნაციონალისტთა ბლოკის სახით.

ავანტიურისტები მარცხნით—ბოლშევიკურ ანარქისტული ელემენტების სახით.

ხმა მიეცით და გამოსარჩლეთ სოციალ დემოკრატიულ პარტიას და მის სიას—№ 1, გამოსარჩლეთ რევოლუციას.

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს

ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

დროებითი მთავრობის კრიზისი.

რევოლუცია საფრთხეშია. კადეტთა დეზერტირობამ, 3—5 ივლისის ამბოხებამ და ფრონტის გარღვევამ კონტრ-რევოლუციონერთ გზა გაუკაფა და ისინიც ირაზმებიან მონარქიის აღსადგენათ და დემოკრატიის დასამარცხებლათ. სახელმწიფო დუმის წევრთა უკანასკნელი გამოსვლა ამის უტყუარ საბუთს იძლევა.

ძირს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები—აი კონტრ-რევოლუციონერთა ლოზუნგი. მათ კარგათ იციან, რომ სწორეთ ამ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული რევოლუციის განვითარება და გაღრმავება და ამიტომაც მათი სახელის გატეხას ლამობენ.

განხორციელდება მათი ოცნება, რევოლუციონურ ორგანოებს ძალა გამოეცლება [illegible] რუსეთის ტახტის „კანონიერი მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე", როგორც ეს დეპუტატ მასლენიკოვმა წამოთქვა, სამეფო გვირგვინს წაეპოტინება და რევოლუციას დაასრულებს.

რა გზას უნდა დაადგეს დემოკრატია, რომ კონტრ-რევოლუციონერთა გეგმა ჩაფუშოს და რევოლუციის განვითარებას გზა გაუკაფოს?

კონტრ-რევოლუცია სახელმწიფო ძალაუფლებას წაეპოტინა და დროებითი მთავრობიდან რევოლუციონური დემოკრატიის წარმომადგენლების განდევნას ლამობს.

ეს აშკარაა იმ პირობებიდან, რომელიც კადეტებმა წარუდგინეს სამინისტროს თავმჯდომარე კერენსკის. ისინი მოითხოვენ ყველა სოციალური რეფორმის დამფუძნებელ კრებამდე გადადებას, ხოლო ომის საკითხში [illegible] იმპერიალისტური დროშის აფრიალებას.

კონტრ რევოლუცია შინაურ პოლიტიკაში, ხოლო იმპერიალიზმი საგარეო პოლიტიკაში—აი რაზეა დაფუძნებული კადეტთა მოთხოვნილება.

დემოკრატია თავის პოზიციებს ვერ დასთმობს და ამიტომაც კადეტთა მოთხოვნილებებს ვერ შეურიგდება. ჩვენ მომხრე ვართ კვლავ კოალიციური მთავრობის შედგენის. და ეს იმიტომ, რომ ისეთ დროს, როცა ფრონტი გარღვეულია და გერმანიის ჯარი ქ. კიევისაკენ მოიწევს, რევოლუციისათვის სახიფათოა მთელი პასუხისმგებლობის დემოკრატიაზე დაკისრება. პირველი წარუმატებლობისთანავე მოსალოდნელია მოქალაქეთა საგრძნობი ნაწილის დემოკრატიის წინააღმდეგ ამხედრება, რაც გზას გაუკაფავს კონტრ რევოლუციის გაძლიერებას. პასუხისმგებლობა ბურჟუაზიულმა წრეებმაც უნდა იკისრონ.

მაგრამ ეს შეიძლება იმ პლატფორმის ნიადაგზე, რომელიც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და რაც მთავრობამ 8 ივლისის დეკლარაციის სახით გამოაქვეყნა. ამ დეკლარაციის დათმობა—ეს იქნებოდა კონტრ-რევოლუციონერთა მიერ პირველი პოზიციის აღება, რაც რევოლუციონური ფრონტის გარღვევას ხელს შეუწყობდა, ხოლო რეაქციონერთ ფრთებს შეასხამდა.

მაგრამ ვთქვათ კადეტებმა და სავაჭრო-სამრეწველო წრეების მეთაურებმა ეს პლატფორმა გადაჭრით უარჰყვეს. რა გზას უნდა დაადგეს ამ შემთხვევაში რევოლუციონური დემოკრატია?

კერენსკი თავისი თანამდებობის დატოვებით იმუქრება. მან შესაფერი განცხადებაც შეიტანა, მაგრამ ის არ მიიღეს. ეს იქნება საბედისწერო შეცდომა. კონტრ რევოლუცია ძალაუფლებას იგდებს, გადაეცით მას მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება და მას რასაკვირველია თავისი პოზიციების გასამაგრებლათ გამოიყენებს. ეს საკუთარი ხელით თავისი დასაკლავი დანის გალესვა იქნება.

თუ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი 8 ივლისის დეკლარაციას არ სცნობენ, ძალაუფლებით სახელმწიფო ძალა-უფლება იმ წვრილ ბურჟუაზიულ წრეებს უნდა გადაეცეს, რომელნიც თავს იყრიან „ტრუდოვიკთა" და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში, რომელიც უკანასკნელ დროს სულ უფრო და უფრო მარჯვნივ მიექანება.

რევოლუციამ წარმოშობა. რასაკვირველია ეს დროებითია, რომ საფრთხეს თავი ადვილით დავაღწიოთ, საჭიროა ყველა რევოლუციონური ძალთა გაერთიანება და შეკრული რევოლუციონური იერიში კონტრ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ გამოყენება.

საერთაშორისო ომი

აღმოსავლეთის ასპარეზზე გერმანელთა მედგარი შემოტევა გრძელდება. გალიციაში მტერმა გადმოლახა საზღვარი და დაიკავა სოფ. კუდრინცი, რომელიც ქ. კამენეც-პოდოლსკის დასავლეთით სულ 20 ვერსის მანძილზე მდებარეობს. მთელი ტერიტორია მდ. დნესტრსა და ზრუჩს შუა ამჟამათ სავსებით გერმანელთა ხელშია.

გერმანელებმა დაიბრუნეს აგრეთვე ბუკოვინა, დაიკავეს მთავარი ქალაქი ჩერნოვიცი, გადმოლახეს საზღვარი, ბესარაბიის გუბერნიაში აიღეს სოფლები: რაშკოვი, პოლიანა და რარანჩე და ქ. ხოტინს მიუახლოვდნენ.

რუმინიის ფრონტზედაც გერმანელთა შემოტევა გრძელდება. აქ დაიკავეს ვატრა-მოლდავიცა. მდგომარეობა მეტად სერიოზულია და დღით-დღე უარესდება.

საფრანგეთის ასპარეზზე მკაცრი ბრძოლა წარმოებს, განსაკუთრებით იპრ-სანჟიულიენის რაიონში. უკანასკნელი სოფელი ხელიდან ხელში გადადის. ამჟამათ ის ისევ დაიკავეს ინგლისელებმა.

დანარჩენ ასპარეზებზე სიწყნარეა.

პრესა.

მუსულმანი-ნაციონალისტები ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან. ე. სულთანოვი „ვოზროჟდენიეში“ ადგილობრივ თათარ სოციალისტებს ახასიათებს.

მისი აზრით ადგილობრივი მუსულმანი-სოციალ-დემოკრატები ვერ არიან კარგი სოციალისტები, ვინაიდან „შემადგენლობა მუსულმან სოციალისტებისა სამწუხაროთ ინტელიგენტური არ არის და ისიც არც მუშები არიან“.

მაშ, ვინ არიან ისინი, ეკითხავს მკითხველი. „ზოგიერთ გამონაკლისს გარდა ისინი ხელზე მოსამსახურენი არიან, რომელნიც შემთხვევითი სამუშაოთი ირჩენენ თავს, არ არიან შესაფერისად გაწვრთნილებული არც გონებრივათ და არც სულიერათ“.

ასეთი საშუალებით ცდილობს სულთანოვი მუსულმან სოციალ-დემოკრატთა სახელის გატეხას.

ე. სულთანოვი მუსულმან-ნაციონალისტთა სიაშია წამოყენებული. ამიტომაც ის არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ ჩვენი თანამოაზრე მუსულმანების ძალაგავლენა დასცეს. მაგრამ ამაოთ. გლეხთა ყრილობამ უკვე ნათელჰყო, რომ მუსულმანთა ფართო მასა ამოძრავდა ბეგებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ სულთანოვები სახელს ვერავის გაუტეხენ.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 22 ივლ. ღამის დეპეშა).

მთავრობის კრიზისი.

პეტროგრადი. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე წერეთელმა მოახსენება გააკეთა მთავრობის კრიზისის შესახებ. დანის წინადადებით ამის შემდეგ სხდომა შეწყდა. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები დარჩენ თავრიდის სასახლეში, ზოგიერთები საზამთრო სასახლეში გამართულ თათბირზე წავიდნენ.

საზამთრო სასახლეში შესდგა თათბირი. თათბირი გაიხსნა ნეკრასოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც კრებას აუწყა მინისტრ კერენსკის წერილის შინაარსი, სადაც ის თხოულობს თანამდებობისაგან განთავისუფლებას. ნეკრასოვმა განაცხადა:—კერენსკის თხოვნა მთავრობამ არ შეიწყნარა და დაადგინა მიმართოს პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოისმინოს მათი აზრი მიმდინარე მომენტის შესახებ. როდზიანკომ სთხოვა ნეკრასოვს, რათა მას განემარტა, თუ რა მდგომარეობაა ფრონტზე და რატომ დააპატიმრეს გენერალი გურკო. ნეკრასოვის განმარტების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს გოდნევმა, ტერეშჩენკომ და წერეთელმა. წერეთლის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სინოდის ობერ-პროკურორმა ლვოვმა, მილიუკოვმა, ეფრემოვმა და პეშეხონოვმა. მეორეჯერ ილაპარაკა ტერეშჩენკომ. ილაპარაკეს ნეკრასოვმა, სავენკომ და სკობელევმა.

23 ივლისი.—დილის დეპეშა.

პეტროგრადი. მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა შეერთებულმა სხდომამ მოისმინა დანის მოხსენება საზამთრო სასახლეში გამართული თათბირის შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ცენტრალურ კომიტეტთა შეერთებული კრება აცხადებს, რომ ის სავსებით ანდობს კერენსკის კაბინეტის შედგენას. კაბინეტში შეუძლია მას მოიწვიოს ყველა პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც 8 ივლის მთავრობის მიერ გამოცემულ პროგრამას იზიარებენ“. ამ რეზოლიუციის მომხრე იყო 47, წინააღმდეგ 46 თავი შეიკავა 42 კაცმა.

პეტროგრადი. აღმასრულებელი კომიტეტების სხდომა 21 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე გაიხსნა ჩხეიძის თავმჯდომარეობით. ამ დროს მოვიდნენ მინისტრები წერეთელი, ჩერნოვი და სკობელევი. თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება მისცა ჩერნოვს. ჩერნოვმა განუმარტა კრებას, თუ რამ აიძულა ის დროებითი მთავრობიდან გასულიყო. წასვლის მიზეზი ის ცილის წამებაა, რომელსაც მტრები ჩემი მოღვაწეობის შესახებ ავრცელებენო. მას მიუმართავს ბურცევსა და შჩეგოლევისათვის. მათ განუცხადებიათ—უსინდისოთ სარგებლობენ ჩვენი სახელით ბნელი ძალები, ვინაიდან თქვენს შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არა გვაქვსო. ამის შემდეგ მას დროებითი მთავრობისათვის მიუმართავს და უთხოვნია, რათა მთავრობას გამოეთხოვა ყველა დაწესებულებათაგან საბრალმდებლო მასალები, რათა მას საშუალება მისცემოდა პასუხისგებაში მიეცა ცილისმწამებელნი. დაბოლოს მან განაცხადა: მე იმიტომ წავედი მთავრობიდან, რომ ამით ხალხში ეჭვი არ აღმეძრა თითქოს ამით ცილისმწამებელთ ვემალებოდეო. ამით მთავრობასაც ჩირქი მოეცხებოდაო. ახლა ის მზათ არის ყოველგვარ თავდასხმას გაუმკლავდეს და ადრე გამოირკვევა რამდენათ მართალი ყოფილა ის. ჩერნოვის განცხადებას კრება ტაშის ცემით შეხვდა. წერეთელმა განაცხადა, რომ მთავრობამ ყოველივე ზომები უკვე მიიღო საქმის გამოსარკვევათ და შედეგს საქვეყნოთ გამოაცხადებსო. სანამ საქმე გამოირკვეოდეს, ჩერნოვის ადგილი თავისუფალი იქნებაო, დაუმატა მან. წერეთლის სიტყვა კრებამ მოიწონა. ამის შემდეგ კრებამ მიიღო გოცის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, სადაც კრება უცხადებს ჩერნოვს სრულ ნდობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ის ადრე წინანდელ ადგილს დაუბრუნდება, სადაც მშრომელი ხალხის ინტერესებს ისე მედგრათ დაიცავს, როგორც დღემდე იცავდა. რეზოლიუცია კრებამ ერთხმად მიიღო.

23 ივლისს ღამით პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით ევგ. გეგეჭკორმა შემდეგი ცნობა მიიღო: მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა კერენსკის მიანდვეს კაბინეტის შედგენა. ჯერ საქმე დასრულებულათ არ შეიძლება ჩაითვალოს. კერენსკი იწვევს მთავრობაში შემდეგ პირთ: ფინანსთა მინისტრათ ნეკრასოვს, ვაჭრობა-მრეწველობის—პლეხანოვს, მიწათ მოქმედების—ჩერნოვს, სასურსათოს—პეშეხონოვს, შრომის—სკობელევს, ფოსტა-ტელეგრაფის—სალტიკოვს, გარეშე საქმეთა—ტერეშჩენკოს, მოწყალების საქმეთა—გოლოვინს, სახელმწიფო კონტროლათ—ასტროვს, სინოდის ობერ პროკურორათ—კარტაშევს, იუსტიციის—ეფრემოვს, გზათა მინისტრათ—კისლიაკოვს, სახალხო განათლების—ოლდენბურგს და შინაგან საქმეთა მინისტრათ—ავქსენტიევს. მთავრობის შემადგენლობის შესახებ ფრაქციებს აქვთ მსჯელობა. ხვალ ან ზეგ საბოლოოთ გამოირკვევა მდგომარეობა, რასაც დაწვრილებით გაცნობებ ხვალ. ამიერ კავკასიაში დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მთავრობამ დაამტკიცა ერთი საარჩევნო ოლქი.

პეტროგრადი. 22 ივლისს დილის 6 საათზე თავრიდის სასახლეში გამართულ თათბირზე დასრულდა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიტყვები. ილაპარაკეს: მილიუკოვმა, ჩერნოვმა, ჩხეიძემ, აჯემოვმა, ვინავერმა, წერეთელმა, სკობელევმა და სამხედრო მინისტრის ამხანაგმა სავინკოვმა. ტერეშჩენკომ იმედი გამოსთქვა, რომ პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საერთო სამოქმედო გზას გამონახავენ. სხდომის განახლებისას სოციალდემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, შრომის ჯგუფელებმა, სახალხო სოციალისტებმა შემდეგი ოფიციალური განცხადება შეიტანეს: „სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ კაბინეტის შედგენა მიანდვეს კერენსკის, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა მთავრობის შედგენის დროს 8 ივლისის დეკლარაციის თანახმად. სახალხო თავისუფლებისა და რადიკალ-დემოკრატების პარტიამ სრული ნდობა გამოუცხადეს კერენსკის ახალი კაბინეტის შედგენის საქმეში. ამასთანავე კადეტებმა განაცხადეს, რომ ახალი მთავრობა დამოუკიდებლათ უნდა მოქმედებდეს ყოველგვარ ორგანიზაციებისა და კომიტეტებისაგან. ყველა პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კერენსკი ერთად ერთი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია მთელი ქვეყნის ცოცხალი ძალების გაერთიანება. სხდომის დახურვისას ნეკრასოვმა იმედი გამოსთქვა, რომ მთავრობის კრიზისი გადაჭრილათ ჩაითვლება, კერენსკი შესძლებს რევოლიუციის და მთავრობის დასახსნელ მთავრობის შედგენასო. საბჭ. დეპ. დილის 7 საათზე თავრიდის სასახლეში წავიდნენ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე.

22 ივლისი, ღამის დეპეშები.

საერთაშორისო კონფერენცია.

პარიზი. გამოქვეყნდა სოციალისტური კონფერენციის ცნობები, რომელიც მოწონებულია საფრანგეთის სოციალისტური პარტიების საადმინისტრაციო კომისიის, ინგლისის და რუსეთის დელეგატების მიერ. იქ ნათქვამია: „კონფერენციამ დაადგინა მოწვეულ იქნას ყველა ერების პროლეტართა სოციალისტური კონფერენცია. ნაციონალური სექციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციაში ვალდებული არიან გაეცნობიან თუ არა კონფერენციის დადგენილებებს განუცხადონ ინტერნაციონალს თუ როგორი საშუალებებით აპირებენ ისინი კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა განზრახულია 27 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე სტოკჰოლმში. თუ ეს ამ ვადაში იქ არ მოხერხდება უნდა მოწვეულ იქნას ქრისტიანიაში ან სხვა რომელიმე ქალაქში“.

ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. სეიმის უკანასკნელი სხდომა ორ წუთს გაგრძელდა. ტალმანმა რამდენიმე მორიგი საკითხი მოახსენა სხდომას და შემდეგ სეიმი დახურულად გამოაცხადა.

23 ივლისი—დილის დეპეშები.

ვილჰელმის ბრძანება.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტოს ცნობით ომის სამი წლის თავზე ვილჰელმმა ბრძანება გამოსცა, სადაც ის აღნიშნავს ჯარის და ხალხის თავგამოდებას და მოუწოდებს მათ მედგრათ დაიცვან სამშობლო.

გურკოს დაპატიმრება.

პეტროგრადი. დააპატიმრეს და საოლქო შტაბში მიიყვანეს დასავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალი გენ. რომეიკო-გურკო.

ომი და ზავი.

პეტროგრადი. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა კომიტეტმა შეერთებულ სხდომაზე მოისმინა სტოკჰოლმში გაგზავნილი დელეგატის როზანოვის მოხსენება და მიიღო მენშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, სადაც ერთად-ერთ საშუალებათ ომის ახლო ხანში მოსასპობათ აღიარებულია, რომ მიმართონ მთელი ქვეყნის ერებს და მიუთითონ იმ ტრაგიკულ მდგომარეობაზე, რომელიც აქამდე არის შექმნილი და ყოველივე საშუალება იქნას ნახმარი კონფერენციის რაც შეიძლება დაჩქარებით მოსაწვევათ. მოწოდებაში უნდა წამოყენებულ იქნას მოთხოვნა, რათა მებრძოლ სახელმწიფოების მთავრობებმა საერთო ზავის შესახებ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება.

ურჩი პოლკი.

სარატოვი. ცარიცინის პოლკი ურჩობისათვის გადაიყვანეს სარატოვში. თუ კიდევ გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა პოლკის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება ნახმარი.

ქარხნის აფეთქება.

ლონდონი. სამხრეთ უელსში სამხედრო ქარხანაში აფეთქება მოხდა. 6 მუშა მოკვდა, 3 დაიჭრა.

24 ივლისი—დილის დეპეშა.

შავი ზღვის ფლოტის უფროსი.

პეტროგრადი. შავი ზღვის ფლოტის უფროსათ ადმირალ კოლჩაკის ნაცვლათ დაინიშნა პირველ რანგის კაპიტანი გვარათ ნემეცი.

აჯანყებული ჯარების სასჯელი.

პეტროგრადი. ის ჯარები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 3—5 ივლისის პეტროგრადში მომხდარ აჯანყებაში განიყოფებიან სამ კატეგორიათ. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისეთი ჯარები, რომელთა მთელი შემადგენლობა იღებდა აჯანყებაში მონაწილეობას. ასეთი ჯარები დაიშალოს უნდა სავსებით. მეამბოხენი და წამქეზებელნი სამართალში იქნებიან მიცემული. ისეთი როტები, რომელთაც მთელი შემადგენლობით არ მიუღიათ აჯანყებაში მონაწილეობა, დამნაშავე პირთა გამოკლებით, გაგზავნილ იქნება ფრონტზე. დანარჩენ ჯარისკაცებს მთელს ფრონტზე გაანაწილებენ. ფელდფებელებს და უნტერ-ოფიცრებს უბრალო ჯარისკაცებათ გადაიყვანენ. დამფუძნებელ კრების არჩევნებში ასეთ ჯარის კაცებს უფლება არ ექნებათ. უფლებათა აღდგენა მათ შეუძლიათ თუ ბრძოლაში სიმამაცეს გამოიჩენენ. მეორე კატეგორიას ისეთი ჯარები ეკუთვნიან, რომლებმაც ნაწილ-ნაწილ მიიღეს აჯანყებაში მონაწილეობა და მესამე კატეგორიას, რომელსაც არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია აჯანყებაში. ასეთი ჯარებიდან სხოლოდ დამნაშავეებს გამოყოფენ.

დეზერტირები.

კიევი. უკანასკნელ დღეებში მასსიური ჩხრეკა-დაპატიმრება იყო ქალაქში. ყველა სატუსაღოები დეზერტირებითა და სისხლის სამართლის დამნაშავეებითაა გავსებული.

ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

22 ივლისი,—ღამის დეპეშები.

რუსეთის ფრონტი.

მინსკი. სადგურ ზამირიეზე ნემეცების აეროპლანებით თავდასხმა გრძელდება. 19 ივლისს 13 ყუმბარა ჩამოყარეს. მოკლეს ქალი და კონდუქტორი. დაჭრეს 10 ჯარისკაცი. მოჰკლეს 4 ცხენი. 20 ივლისს ჩამოაგდეს 4 ყუმბარა, მოჰკლეს 4 კაცი.

შორს მსროლელი ზარბაზნებიდან სადგურ პოგორელცას ყუმბარებს უშენენ.

ტარნოპოლის რაიონში ჩვენი მზვერავი აეროპლანი მტრის აეროპლანს შეება. დაიჭრა ბეჭში პორუჩიკი პედოხოვსკი.

23 ივლისი.—დილის დეპეშები.

რუმინიის ფრონტზე მოლდავიასა და ბუკოვინას შუა მ. კასინის ჭალაში მტერი განაგრძობს წინ წამოწევას. ჩვენ და რუმინელებს იერიშები მიგვაქვს. მტერმა დასტოვა გამაგრებული ადგილები პირველი ხაზისა და მთელს რაიონში დაიხია.

ბერდიჩევი. ჩერნოვიცის ხაზით ბუკოვინაში მტერი წინ მოიწევს.

მინსკი. სადგურ მოლოდეჩნოში გერმანელებმა 11 ყუმბარა ჩააგდეს.

დასავლეთ ფრონტზე სიწყნარეა. ნემცებმა ვერ შესძლეს კრევსკის რაიონში ჩვენი სანგრებიდან განდევნა. გაძლიერებულია მზვერავთა და აეროპლანების მოქმედება.

რიგა. ღამით ცეპელინი მოფრინდა. ალბათ მიზნათ ჰქონდა დაზვერვა. ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა, რის შემდეგ ის მიტავისკენ გაფრინდა.

როვნოსა და ლუცკს შორის მტრის აეროპლანები გამოჩნდნენ. ლუცკში 9 ყუმბარა ჩაყარეს. არავინ არ მოუკლავთ.

კამენეც პოდოლსკის დასავლეთით, ოცი ვერსის მანძილზე, მტრის ჯარმა დაბა კუდრინცი დაიკავა.

23 ივლისი—დილის დეპეშები.

საფრანგეთის ფრონტი.

ლონდონი. ბრიტანიის მთავარი ბანაკის ცნობით 19 ივლისს მთელი დღე სწვიმდა. ზილებეკე-ზანდვორდეს გზაზე ჩვენ წინ წავიწიეთ. ფრანგებმა იზერის აღმოსავლეთის ნაპირზე წინ წაიწიეს. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით გერმანელებმა ჩვენზე იერიშები მოიტანეს, ამიტომ ჩვენი ჯარები სოფ. სან ჟულიენიდან გამოვიყვანეთ. დიდი ბრძოლა სწარმოებდა ვესტჰუკის სოფელში. დღით მეორეჯერ დაგვესხენ თავს გერმანელები იპრ-რიულერის გზით. გუშინ ტყვეთ წამოვიყვანეთ 5 ათასი გერმანელი, ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ზარბაზანი და ტყვიის-მფრქვეველი. ჩვენი ჰაეროპლანები ქვეით ჯარს შეტევის დროს დახმარებას უწევდა.

23 ივლისი, დილის დეპეშები.

ბალკანეთის ფრონტი.

პარიზი. (დაგვიანებული ცნობა). ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური ცნობის თანახმად, ვარდარის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. არნის რაიონში მოკავშირეთა პოზიციებს მტერმა ყუმბარები დაუშინა. ჩვენ ვუპასუხეთ და მტრის არტილერიას სროლა შევაწყვეტინეთ.

ბრიტანეთის მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს მტრის ჯარის ბანაკში გევგელის და დემირ-ჰისსარის რაიონში, საფრანგეთის ფრინავებმა კი—მონასტირისა და კორიცის სამხრეთით.

დასავლეთის ფრონტი.

პეტროგრადი. 23 ივლისი. მდ. სტოხოდზე კოველ-სარნენსკის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა ლეხნოვის ხელმძღვანელობით გადალახეს მდინარე და გადაჭრეს მავთულები.

ამავე დროს იერიში მიიტანეს ავსტრიელებზე და ერთი ნაწილი დახოცეს. დანარჩენი ტყვეთ წამოიყვანეს.

ველიკ კუჩარის რაიონში მტრის შვიდმა როტამ იერიში დაიწყო, მაგრამ უკუვაქციეთ. ჩერნოვიცის აღმოსავლეთით მოიანთან ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ტყე. ლენკოხნოვ-ნაშეურსკის ქვეითმა პოლკმა ტყვეთ ჩაიგდო ხელში 20 ოფიცერი, 500 ჯარისკაცი და 3 ტყვიის მფრქვეველი. მდ. სერეტის დასავლეთით მტერმა ბრძოლით დაიჭირა ნეიფრადეუაცი. დნესტრის და პრუტის შუა ჩვენი ჯარები განაგრძობს უკან დახევას. 21 ივლისს ჩერნოვიცი დავსტოვეთ. ხიდი ავაფეთქეთ. მტერი შემოვიდა სოფლებში: საშკოვი, პოლიანი, რარანჩე და ქ. ჩერნოვიცი. კარპატებიდან ჩვენი ჯარი აღმოსავლეთით იხევს, ჩვენი ჯარების ზოგიერთი ნაწილები მტერს არ უწევენ წინააღმდეგობას.

რუმინიის ფრონტი. კიმპოლუნგსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაიხია. სოფელი ვამიში მტერმა დაიპყრო. ვატრა-მოლდავიცაში მტრის ჯარები შემოვიდნენ.

კავკასიის ფრონტი. ცვლილება არ არის.

ლონდონი 23 ივლისი. ღამის განმავლობაში ჩვენ დავიბრუნეთ სანგრების დანარჩენი ნაწილი. იპრსკის ფრონტზე ჩვენ კიდევ წინ წავიწიეთ.

წვიმა და ქარი მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. სენ ჟულიენიდან ჩვენ აღმოსავლეთით კიდევ წავიწიეთ წინ, გერმანიის არტილერია გაცხარებით მოქმედებს ნიუპორის მიდამოებში.

პარიზი. (დაგვიანებული). ბელგიაში უამინდობაა. ბრეს აღმოსავლეთით და კრაონის დასავლეთით არტილერიით იბრძვიან. ალემანის რაიონში 24 ტყვე ჩავიგდეთ და ერთი ტყვიის-მფრქვეველი. რეიმსის სამხრეთით მოვიგერიეთ მტრის იერიშები. აგრეთვე უშედეგო იყო მტრის იერიშები აპრემონის ტყის რაიონში.

ყოფილი ჟანდარმები.

მოქმედი არმია. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისარი გობეჩია შუამდგომლობს მთავარი სარდლის წინაშე, რათა ის ოფიცრები, რომლებიც წინეთ ჟანდარმერიაში მსახურობდნენ, გაგზავნილ იქნან ფრონტზე. ავადმყოფები კი—განთავისუფლდნენ უპენსიოთ. უკეთუ ჯარის რომელიმე ნაწილი ჟანდარმთა ოფიცრებს ჯარში არ მიიღებენ, ასეთი ოფიცრები უნდა ჩამოქვეითებულ იქნან უბრალო ჯარის კაცებამდე და გაგზავნილ იქნან პოზიციაზე, რომ იქ მათ დაიმსახურონ ჯარების ნდობა ოფიცრათ ყოფნისა.

ახალი ამბები

საარჩევნო გაუგებრობა. ბევრი ჩვენი ამომრჩეველი დიდს შეცდომას უშვებს: საარჩევნო კონვერტებში სდებენ თურმე ჩვენს სიას № 1-ს, მერე გარედან, თავის სახელს და გვარს აწერენ და მერმე საფოსტო ყუთში აგდებენ. არ შეიძლება, ამხანაგებო და მოქალაქენო! ამნაირად თუ მოიქცევით, იცოდეთ, თქვენი ხმები ეკარგება სოციალდემოკრატიას. როგორც კონვერტები, აგრეთვე საარჩევნო შენობაში შესავალი ბილეთი და ჩვენი ბარათი № 1 უნდა შეინახოთ 30 ივლისამდე. ამ დღეს კი მიხვალთ ხმის მისაცემად, ჩასდებთ ჩვენს ბარათს № 1-ს კონვერტში და იქ ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში. დაიხსომეთ ეს კარგად.

◆ **ლატიშები, ლიტველები და ესტონელები სოციალდემოკრატების სიას № 1 აძლევენ ხმას.** 23 ივლისს მოხდა ტფილისში მცხოვრებ ლატიშების, ლიტველების და ესტონელების მრავალრიცხოვანი კრება. საქალაქო არჩევნების შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „განიხილა რა საკითხი საქალაქო არჩევნების შესახებ, კრება მოუწოდებს ტფილისში მცხოვრებ ყველა ლატიშებს, ლიტველებს და ესტონელებს ხმა მისცენ რ. ს.-დ. მუშათა პარტიის სიას № 1“. რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული 9 წინააღმდეგ. (ერთმა ფედერალისტების სია წამოაყენა, ერთმა სოც.-რევ. და შვიდმა მეუმრავლესეების). ორმა თავი შეიკავა.

◆ **ხალხის ხმა.** დიდუბის მოქალაქეებმა სრულიად რუსეთის მ., ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „დიდუბის რაიონის (ტფილისი) მუშათა, ჯარისკაცთა და მოქალაქეთა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 4 ათასზე მეტი კაცი და რომლის მიზანი იყო საქალაქო არჩევნებზე მსჯელობა, დამსწრეთა ერთსულოვან მოთხოვნილების თანახმათ განიხილა მთავრობიდან ამხ. ჩერნოვის გამოსვლა და დაადგინა გაუგზავნოს დეპეშა ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს და სთხოვოს კომიტეტის მიერ დროებით მთავრობაში გაგზავნილ ამხანაგებს შეინარჩუნონ თავიანთი ადგილები, თავის მხრით მიტინგი აღუთქვამს დაიცვას აქ რევოლიუციონურ ძალთა მთლიანობა და ყოველივე ზომებით მხარი დაუჭიროს ჩვენს საბჭოებს ძველი სახელმწიფო წყობის ნანგრევების ირგვლივ თავმოყრილ ხალხის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში“.

◆ **ბაქოს ნავთის მრეწველები** თხულობენ ნავთზე 50-100 პროცენტით ფასების გადიდებას.

◆ **სამხედრო პროკურორის მოხსენების** თანახმად სამხედრო მინისტრმა პასუხის გებაში მისცა კავკასიის ჯარების ყოფილი მთავარი სარდალი სანდეცკი, რომელსაც ხელქვეით და აგრეთვე კერძო პირთა ცემა ბრალდება.

◆ **ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ამხ. რ. გიორგაძემ** შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წევრს ამხ. აკაკი ჩხენკელს: „გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტმა ამირჩია გუბერნიის კომისრათ და 18 ივლისს შეუდექი კიდეც მოვალეობის ასრულებას, საჭიროთ მიმაჩნია გაცნობოთ, რომ გუბერნიაში გამეფებულია რევოლიუციონური წესრიგი, მთავრობის დაწესებულებები ყველგან მოწყობილია, აგრარულ მოძრაობას ადგილი არ აქვს. ვმუშაობ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად. კონტრ-რევოლიუციონერები ვერ ბედავენ გამოსვლას. ჯარი რევოლიუციის გამარჯვების სურვილითაა გამსჭვალული. მხოლოდ დეზერტირები თუ არღვევენ ხანდისხან წესრიგს. ჩვენი მთავარი საზრუნავი საქმე დღეს—ეს სასურსათო კრიზისის თავიდან აცილებაა. გუბერნიის კომისარი გიორგაძე“.

◆ **ამხ. კაკი წერეთელმა** შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის თავმჯდომარეთ ვ. ხარლამოვს: „დაუყოვნებლივ გვაცნობეთ დაწვრილებით თუ რა ზომებს იღებდით და იღებთ დღემდე როგორც მცხოვრებთა ცალკე ჯგუფების, ისე სასოფლო და სხვა კომიტეტების მიერ მიწების და მოსავლის ძალით ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. რა ზომებს იღებდით მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების დასაცავათ, მეურნეობის ცალკე დარგების და სასოფლო სამეურნეო იარაღების დასაცავათ და რა შედეგებს მიაღწიეთ“. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი წერეთელი.

◆ **ახალი კოოპერატივი.** დ. კახელაძის თაოსნობით ახლო მომავალში დაარსდება დიდი კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის მიზანია მოაწყოს განაპირა მუშათა უბნებში საკუთარი პურის საცხობები და მისცეს როგორც წევრებს, ისე არაწევრებს საშუალება შეიძინონ კარგი ღირსების პური ზომიერ ფასებში. ომის გათავების შემდეგ ამხანაგობა მოაწყობს დიდ მექანიკურ ფურნეს. ამ მოკლე ხანში განზრახულია პურის ცხობის დაწყება ნაძალადევში, დიდუბეში, ვერაზე, ერთობის უბანში, ავლაბარში, შემდეგ დანარჩენ უბნებში. ყველა უბანში იქნება მოწყობილი რამდენიმე პურის გასაყიდი პუნქტი. იმედია ფართო საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში. ამხანაგობის წესდება უკვე მზათ არის, მოკლე ხანში მოწვეულ იქნება საერთო კრება.

◆ **ბიუროს განცხადება.** ვაცხადებთ იმ პირთა საყურადღებოთ, ვისაც უნდა წიგნაკები ან სხვა რამ გამოიწეროს ბიუროდან—, ფული აუცილებლათ უნდა გამოგზავნონ შემდეგ მისამართით: Тифлисъ, Бюро областного комитета Закавк. организацій Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს ვერ ვღებულობთ.

◆ **ახალი გამოცემა.** გამოვიდა რ. ს. დ. მ. პ. საოლ. კომ. გამოცემა ქართულ და რუსულ ენაზე უწყება (რეზოლიუციები) მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციებისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

№1

Голосую за списокъ

Россійской Соціалъ-Демократической Рабочей Партіи.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ՌՈՒՍԱՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼ-ԴԵՄՈԿՐԱՏԱԿԱՆ ԲԱՆՒՈՐԱԿԱՆ ԿՈՒՍԱԿՑՈՒԹԻՒՆ.

روسیه اجتماعیون عامیون فعله فرقه‌سی

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიამ გამოსცა ზემო მოყვანილი ბარათები. **ბარათები დაბეჭდილია წითელი ასოებით.** ყველა მუშამ, ყველა ჯარისკაცმა, ყველა მოქალაქემ ზემო აღნიშნული ბარათი უნდა ჩადოს იმ ბეჭედ-დაკრულ კონვერტში, რომელიც მას ფოსტალიონებმა მიუტანეს. ეს კონვერტი შეინახეთ საარჩევნო დღისათვის. 30 ივლისს ამ კონვერტს ჩააგდებთ საარჩევნო ყუთში იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენებია საარჩევნო ბარათზე.

ფოსტალიონები კონვერტებთან ერთად არიგებენ საარჩევნო ბარათებს (избирательная карточка). ეს ბარათებიც შეინახეთ არჩევნების დღისათვის და იქ წარადგინეთ შესვლისას. უამისოთ ხმის მიცემა არ შეიძლება.

არც ერთი ხმა სხვა პარტიების სიას. ხმა მიეცით რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

რ. ს. დ. მ. პ.—რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა რუს. ფას. 15 კაპ.

◆ **„სოფლის მუშა"**—გამოვიდა მე-2 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია წერილი მიწის კომიტეტის მოწყობის შესახებ, ს. პართენაშვილის მოთხრობის გაგრძელება, დ. მჭონგურის და ტანჯული მუშის ლექსები და სხ.

◆ **საპროტესტო დეპეშა.** ჩვენმა რედაქციამ თიანეთიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „თიანეთის სახალხო მიტინგი პროტესტს აცხადებს „სახალხო საქმე"-ში და „საქართველო"-ში მოთავსებულ ყალბ ცნობების წინააღმდეგ და ზიზღს უცხადებს თიანეთის შავრაზმელებს". ეს დეპეშა ეხება „სახალხო საქმის" მე 2 ნომერში და „საქართველოს" № 156-ში დაბეჭდილ ყალბ ცნობას თიანეთიდან.

◆ **ქალაქის დუქნების გამგე** დ. კახელაძე სამსახურიდან გადადგა. ბევრ დუქანში აღმოაჩინეს ბოროტმოქმედება შაქრით ვაჭრობის გარშემო. რამდენიმე დუქნის გამგეები დაითხოვეს კიდეც ამის გამო.

◆ **ამნისტიით განთავისუფლებული** ამხ. ნიკოლოზ მირიაევი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაეკარგა დოკუმენტები, მნახველს სთხოვს შემოიტანოს „ერთობის" რედაქციაში, (გოლოვინის პროსპ. № 12.)

◆ **სურსათი.** 23 ივლისს თფილისში შემოიტანეს 28 ვაგონი ფქვილი, 24 ივლისში კი—15 ვაგონი.

კრებები ად მიტინგები

რ. ს. დ. მ. პ. თფ. კომიტ. ცენტრალური საარჩევნო ბიურო დღეს, საღამოს 6 საათზე მართავს მიტინგებს მუშტაიდის შესახვევში (ტრამვაის კონტორის წინ) და ჩერქეზოვის ქუჩაზე („კოპეტ"-ს ფაბრიკის წინ) ილაპარაკებენ საქალაქო არჩევნებზე.

— დღეს, საღამოს 7 საათზე სასახლეში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. ვინაიდან გასარჩევია სერიოზული კითხვები, ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დააკლდებიან კრებას.

— ხვალ, საღ. 7 ს. 3-მე მომრიგებელ სასამართლოს შენობაში (ტურგენევის ქ.) შესდგება რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის მე 3 ნაწილის (მე 9 სამილიციო უბანი) კოლექტივის და საარჩევნო კომიტეტის წევრთა შეერთებული კრება.

— ხვალ, საღამოს 6 ს. ნაძალადევში ბოტეს სახლში დანიშნულია შეერთებული კრება ძველი და ახალი რაიონულ კოლექტივების წევრებისა. ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— ხვალ, საღამოს 7 ს. აკაკი წერეთლის სახელობის სკოლის შენობაში, მე-3 სამილიციო უბნის კომიტეტის ბიუროს ბინაზე დანიშნულია მთაწმინდის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. ასარჩევია 3 [illegible].

პროვინციის ქრონიკა.

აბაშის რაიონი (სამეგრელო). დაიჭირეს 40—50 დეზერტი პოზიციიდან ჩამოსულნი.

— ზოგიერთი ვაჭარი შეუდგა საქონლის აბაშიდან გაზიდვას. სასურსათო კომიტეტი ენერგიულ ზომებს ღებულობს მათ წინააღმდეგ.

— ადგილობრივ პარტიულ კლუბის დარბაზში იმართება წარმოდგენები. 23 ივლისს განზრახულია დიდი სეირნობა ალეგრით. შემოსავლის ნაწილი გადაიდება საარჩევნო ფონდისათვის.

— ყოველ დღე რამოდენიმე ვაგონი სიმინდი იგზავნება შორაპნის მაზრაში.

— საქონლის ჭირი ისევ მძვინვარებს. ბეითლებს წამალი არა აქვს, ხალხი დახმარებას ვერ ხედავს და ძლიერ უკმაყოფილოა.

— ს. ონტოფოში დაარსდა პარტიული კლუბი.

— ს. ქოლობანში გაიმართა წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ. წმინდა შემოსავალი 600 მ. აღემატება.

— სოფ. აბაშაში ამხ. ვ. თევზაიამ წაიკითხა ლექცია დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ლექცია შინაარსიანი იყო. მთელი შემოსავალი ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ გადაიდო.

თიანეთი. 16 ივლისს, ნაშუადღევის ორ საათზე სკოლის ეზოში გაიმართა თიანეთის საზოგადოების კრება. კრებაზე ილაპარაკეს ამხ. ვ. ალიხანოვმა, ფ. რამიშვილმა, თფილისელმა მუშამ და სხვებმა. კრებაზე მოხდა არაჩვეულებრივი უსიამოვნება, რომელმაც მკაცრი ხასიათი მიიღო. საქმე შემდეგში იყო; ადგ. მცხოვრებმა მიხა ძებინაურმა, რომელიც თავის თავს აღიარებს ერთ-ერთ პარტიის წარმომადგენლად და, რომელსაც სოფელმა ცუდი ყოფაქცევისათვის ბოიკოტი გამოუცხადა, კრებაზე მოვიდა წინასწარ განზრახვით. როდესაც ერთ ფაქტს შეეხო ორატორი, მან ერთ გლეხს ცუდი სახელი უწოდა, მხოლოდ ორატორს კი პროვოკატორი, რასაც მოყვა კეტებით არევდარევა და ცემა-ტყეპა. სცემეს ძებინაურს და კიდევ რამოდენიმე ახალგაზრდებს. აღელვებულმა ხალხმა კინაღამ დახოცეს ისინი, მაგრამ მაზრის კომისარის გ. მენთეშაშვილის, ნ. ქუმსიაშვილის და სოც.-დემოკრატების მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა მღელვარება ჩააქრო; გლეხ კაცობა საერთოდ ძლიერ აღელვებულია ერ.-დემოკრ. და ფედერალისტთა წინააღმდეგ. დაწვრილებით შემდეგ.

— კვირას (16) დილით მოხდა პირველი დამფუძნებელი კრება თიანეთის მაზრის სასურსათო კომიტეტისა. კრებას დაესწრნენ ხევსურეთის, ფშავეთის, ახმეტის, ერწოს და თიანეთის რაიონებიდან წარმომადგენლები. კომიტეტის გამგეობაში არჩეული იქნენ: დ. გოგიტიძე, ვ. ტუქსიშვილი და სიმ. წიკლაური.

— ამავე საღამოს გაიმართა თიანეთის მაზრის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თათბირი. კრებამ აირჩია დროებითი მაზრის ხელმძღვანელი ბიურო.

გიორგი მარსაგოვის ხსოვნას.

მეტეხის ციხეში 1906—7 წელს ის ჩვენთან იყო. განსაკუთრებულის მზრუნველობით ვეპყრობოდა უმცროს ძმათ, მებრძოლთ სახალხო საქმისათვის გვხიბლავდა მისი უბრალო სიტყვა, რომელშიც ღრმა დაფიქრება და უსაზღვრო ენთუზიაზმი იხატებოდა. ცოტახანში ყველასათვის პატივსაცემი და სათაყვანებელი შეიქნა.

მეტად ძნელია იმ შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელსაც იგი მსმენელზე ახდენდა თავისი სიტყვის სიმარტივით.

დროთ განვლეს... ის წლების განმავლობაში იტანჯებოდა. ბნელმა რეჟიმმა დაამბუნა, გასტეხა მოხევის ძალ-ღონე.

1916 წელს იგი გორის კოლექტივის მომქმედი, დაუღალავი წევრია. სულია ორგანიზაციისა, მისი რწმენა და იმედი.

რევოლიუციამ ლოგინში მოუსწრო. აბასთუმანში წასვლის წინედ ჩემთან წერილი გამოეგზავნა: მთხოვდა—მენახა. უზომოდ გამეხარდა მეტეხის ციხის ყოფილი ტუსაღის და ძვირფასი ამხანაგის ნახვა...

ვისაუბრეთ ბევრ რამეზე, რასაც ჩვენს პარტიასთან ახლო დამოკიდებულება აქვს. დაბეჯითებით მთხოვა თავისი უკანასკნელი სიტყვა ამხანაგებისთვის გადამეცა. ის ახასიათებს დაკარგულს, როგორც პირუთვნელ მებრძოლს და უანგარო პარტიულ მუშაკს.

ამბობდა, რომ ძალით გათიშვა ჩვენთვის მომაკვდინებელი ცოდვაა. სიკვდილის წინედ ჭაბუკურის აღფრთოვანებით ამტკიცებდა, რომ ჩვენთვის არ არის საზიანო ზოგიერთ ბურჟუაზიულ პარტიებთან პირობის მიხედვით კავშირის დაჭერა და ამ პირობებში ბრძოლის წარმოება. კერძოდ გორის თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ამტკიცებდა, რომ იქ მუშათა პარტიის უმეტესობასთან, სასურველია, ბურჟუაზიულ პარტიის წევრებიც იყვნენ, რომ ამნაირად ახალ თვითმმართველობას საზოგადოების ყველა წრეებში ექმნეს ავტორიტეტი. სახეში ჰქონდა ამ შემთხვევაში აგრეთვე ადგილობრივ პირთა ცოდნა გამოცდილება ქალაქის საქმეებში.

და გაწყდა სიცოცხლის ძაფი... ურიცხვ დაკარგულ მებრძოლთ ისიც მიემატა. წითელი სისხლით დაიწერა მისი ცხოვრება. ეკლებით იყო მოფენილი მისი სავალი გზა.

—

დანთხეული მგელი შხამი სწვავდა არეს.
მაგრამ უდრეკს ვერ ვამჩნევდით სიმწუხარეს.
როს მახვილით მტერი ჩვენკენ მოიწევდა,
ჩვენთან იყო, გამკლავებად მიგვიწევდა.
როს დავმარცხდით, ის დაეცა დაშხამული...
ღონე გატყდა... მთელი დარჩა რწმენა, გული...

—

გავიმარჯვეთ... მძლე ხალხის ზღვა მასთან იყო,
ჩვენი ლხენა, სიხარული მან გაიყო.
გვიყურებდა, ფანჯარასთან მიყრდნილი.
ბნელ სიკვდილის დაჩნეულა მტკიცე ჩრდილი...

—

ჩანგი გმინავს უკვე გამქრალ კანდელისათვის...
სამსხვერპლოზე ჩუმად დამწვარ სანთლისათვის...

იახამანი.

24 ივლისი, თფილისი.

პროვოკატორები მუშაობენ...

გუშინ თფილისის საფოსტო კანტორის ბეჭედ დასმული კონვერტი მივიღეთ. კონვერტი უმარკოა და 19 ივლისის საფოსტო ბეჭედ დასმული. კონვერტს აწერია № 340 და გამოგზავნილია „ერთობის" სახელზე. კონვერტში შემდეგი მოწოდება აღმოჩნდა: „უკანასკნელ ხანებში საშინლათ უსისიანებენ ერთი მეორეს სხვა და სხვა პარტიები, ორგანიზაციები და ერები. სოციალ-დემოკრატიული პარტია მენშევიკებისა ბოლშევიკებზე უსისიანებს, ბოლშევიკები—პირიქით; ისინი სოციალისტ ფედერალისტებზე, სოციალისტ-რევოლიუციონერებზე, ესენი სოციალ-დემოკრატებზე და სხ. სხვა და სხვა კომიტეტები და ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოები თავიანთ თავს გარდა არავის არ სცნობენ. მოახლოვებულია ჟამი, როცა ეს საბჭოები იხელთებენ დროს თუ არა, თავს დამოუკიდებლათ გამოაცხადებენ და მსგავსათ ნიკოლოზ მეორისა დაიწყებენ ხალხის სისხლის სმას სანამ მათთვის ეს სასურველი იქნება. ამ მდგომარეობაშია ამ ჟამათ ნაციონალური საკითხიც: ზემო ჩამოთვლილი პარტიებისა და ორგანიზაციების წყალობით ერთა წასისიანებაც სწარმოებს: ქართველებს უსისიანებენ სომხებზე, სომხებს—ქართველებზე, რუსებს—სომხებსა და ქართველებზე, თათრებს—სომხებზე და სხ. მსგავსათ რუსეთისა, კავკასიაშიაც მოეწყო პარტია, რომელსაც „წითელი წერტილი" ეწოდება. „წითელი წერტილი" სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს ასეთ გამოსვლებს. მას ტერორისტთა საკმაო რიცხვი ჰყავს ამ პარტიებსა და ორგანიზაციებში და მათი შემწეობით მოქმედობს. არც ერთ ასეთ შემთხვევას „წითელი წერტილი" უპასუხოთ არ დასტოვებს და ის ღირსეულ პასუხს გასცემს მათ თუ გინდ ამას მოკვლა მოყვეს. „წითელ წერტილს" ყველა კრებებისა და სხდომების სწორი ცნობები მოსდის, პარტიის სამოქმედო ადგილებთა ქალაქები, დაბები და სოფლები. „გაუმარჯოს ტერორს"! ხელს აწერს „წითელი წერტილი".

მოქალაქენო! ახლა თქვენ უკვე იცით რაშია საქმე. პროვოკატორები მუშაობენ სიტყვიერათ, მუშაობენ წერილობით! გავაკრათ ისინი სამარცხვინო ბოძზე, აი საით მოგიწოდებთ თქვენ!

რუსეთის ამბები.

შავრაზმული აგიტაცია. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ ერთ სტამბაში შავრაზმულ პროკლამაციას აწყობენო.

იქ საჩქაროთ გაგზავნეს აფიცრები და ჯარისკაცები, რომლებმაც წაართვეს შემდეგი შინაარსის პროკლამაციები:

„უბედურობა დაგვატყდა თავს. გერმანელებმა გაარღვიეს ჩვენი ფრონტი და ხელში ჩაიგდეს ტარნოპოლი. ეხლა მთავრობა აღარ არის, ის ვიღამაც მოიპარა. ვინ არის ეს ქურდი, რომელიც ყიდის და ანგრევს რუსეთს. მთავრობა ხელში ჩაიგდო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა. იგინი ნიშნავენ მინისტრებს.

ვინ არიან ეს მინისტრები? მათი უმრავლესობა კატორღიდან მოვიდა, ასეთები არიან: წერეთელი, შინგარევი, ჩერნოვი, და ნეკრასოვი. საქმის წინამძღოლათ მათ კერენსკი აირჩიეს ის—კატორღელებში მთავარია. ის მათ ყველაფერში ეთანხმება.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის წევრები 6 ბოლშევიკია. ბოლშევიკები მინისტრებთან შეთანხმებით 4 ივლისს გამოვიდნენ ქუჩაში ძმათა სისხლის დასაღვრელათ.

ძმებო ყაზახებო! თუ თქვენთვის სულ ერთი არის კატორღელი მინისტრები გვყავდეს, რუსეთი დაიღუპა, მას მინისტრები გაძარცვენ, გერმანელები ფეხქვეშ გათელავენ.

შეკრიბეთ თითო პოლკიდან 6 დეპუტატი და გამოგზავნეთ ოთხშაბათს 12 ივლისს დილის 4 საათზე ყრილობაზე... და იქ ჩვენ მოვილაპარაკებთ, როგორ ვუშველოთ ჩვენ უბედურ სამშობლოს".

ეს მოწოდება 500 ცალი იყო შეკვეთილი კერძოთ სანდო პირებისთვის დასარიგებლათ.

სტამბაში დაატუსაღეს ის პირი, რომელმაც ეს ფურცლები გადასცა.

საზარი ამბები დვინის ფრონტზე.

14 ივლისს, დვინის ფრონტიდან მოვიდა სახელმწიფო დუმის ერთი წევრი, მან დაწვრილებით გააცნო რა საშინელება ხდება დვინის ფრონტზე. დეპუტატის სიტყვით ჩვენი დამკვრელი ბატალიონები გერმანელებს ეკვეთნენ და მნიშვნელოვანი პოზიციები წაართვეს. გერმანელებმა უმოწყალოთ დაუშინეს ზარბაზნები. იმ დროს, როცა ბატალიონი სრულიად იღუპებოდა, მათ მიმართეს საშველად ახლო მდგომ ჯარის ნაწილებს, მაგრამ ეს ჯარი არა თუ არ დაეხმარა, წინააღმდეგ, ვინც ვეღარ მოითმინა და საშველად წავიდა ზურგს უკან ტყვიები დააყარა. ზოგიერთი პოლკები ერთი მეორეს შეეტაკა იარაღით ხელში, ამ საზარელ დროს, რომ დასახმარებლათ არავინ წასულიყო.

ბევრჯერ შეამჩნიეს, რომ ზურგის უკან ნიშანს აძლევდენ გერმანელებს. ამ ნიშნებით გერმანელებს საშუალებას აძლევდენ ჩვენი სამხედრო ტრანსპორტისთვის ზარბაზნები დაეშინათ.

სრულიად რუსეთეს პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია.

კოალიციის თავისუფლება.

(ნ. გარვის მოხსენების დებულებანი).

ვიღებთ რა მხედველობაში:

1) რომ მუშათა კლასს ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და დაქირავებული შრომისაგან სრულიად გასანთავისუფლებლათ ბრძოლა უხდება, ამ ბრძოლის წარმატებით საწარმოებლათ კი აუცილებლათ საჭიროა მისთვის სრული განუსაზღვრელი თავისუფლება კლასიური ორგანიზაციის მოწყობისა კლასიური ბრძოლის საწარმოებლათ.

2) რომ კოალიციის სრული თავისუფლება მეტნაწილათ უზრუნველყოფილია დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასეთი თავისუფლება კი აუცილებელი პირობაა პროფესიონალური მოძრაობის ძალუმათ გაზრდის და მისი მოღვაწეობის მიზან შეწონილი განვითარებისა.

3) რომ ამიტომ რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის ერთი მორიგი მიზანთაგანია კანონით უზრუნველყოს კოალიციის სრული და განუსაზღვრელი თავისუფლება, როგორც რევოლიუციის ერთი მთავარი მოპოებათაგან;—

პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია გადაჭრით წინააღმდეგია პროფესიონალური კავშირების შესახებ კანონების ცალკე გამოცემისა და აუცილებელ საჭიროთ სცნობს გამოსცეს დროებითი მთავრობამ დეკრეტი კოალიციათა თავისუფლების შესახებ. დეკრეტს საფუძვლათ უნდა დაედოს შემდეგი:

1) რუსეთის ყველა მოქალაქეს განურჩევლათ სქესისა და ჰასაკისა უფლება აქვს გამართოს კრება დახურულ შენობაში, გინდ გარეთ, აშკარათ, ცისქვეშ. ამასთან ერთად მათ უფლება აქვთ გამართონ ყოველგვარი მანიფესტაციები, დემონსტრაციები და სხ. პოლიციის წინასწარ განუცხადებლად.

2) ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა და ჰასაკისა უფლება აქვს მოაწყოს ყოველგვარი საზოგადოება და კავშირი. საზოგადოების გინდ კავშირის შესადგენათ აგრეთვე მათ შესაკავშირებლათ პოლიციის წინასწარი ნებართვა საჭირო არ არის.

3) რუსეთის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს კრებაზე ილაპარაკოს რომელ ენაზედაც მას მოესურვება და აგრეთვე კავშირებში, საზოგადოებებში და სხ. საქმის საწარმოებელი ენაც მათ სურვილზეა დამოკიდებული.

4) ყოველგვარი კერძო, საზოგადო გინდ სახაზინო დაწესებულებათა როგორც მუშებს, ისე მოსამსახურეებს და საზოგადოთ ყველა იმ პირთ, რომლებიც შრომის ხელფასს ღებულობენ,—მათ რიცხვში შედიან აგრეთვე ის მოსამსახურენი, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან,—უფლება აქვთ კოალიციის შედგენისა, ე. ი. მათ უფლება აქვთ შეადგინონ კავშირი და შეკრან ყოველგვარი შეთანხმებანი თავიანთი ეკონომიური, უფლებრივი და პოლიტიკურ ინტერესთა დასაცავათ როგორც კავშირთა და საზოგადოების წევრთა, ისე შეთანხმებათა მონაწილეებისა.

5) ყოველგვარ კავშირსა და საზოგადოებას შეუძლია შეუკავშირდეს სხვა საზოგადოებას გინდ კავშირს როგორც რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში, ისე მის გარეშე საერთო მიზნების ერთიანი ბრძოლის განსახორციელებლათ.

6) ყოველგვარი მოქმედებანი, როგორც კერძო აგრეთვე რამდენიმე პირთა ურთიერთ შორის შეთანხმებით ჩადენილი, როგორიცაა გაფიცვა, გაფიცულთა მიერ სამრეწველოს ადგილების ან საქონლის ბოიკოტი, გაფიცვის ან ბოიკოტის გამოცხადების მუქარა, ისეთ ორგანიზაციებში ან კავშირებში მონაწილეობა, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული გაფიცვა ან ბოიკოტის მოწყობა, არ დაისჯებიან.

7) ზემო ჩამოთვლილი ზომებით გამოწვეულ ზარალში პასუხს არ აგებენ საზოგადოებები, კავშირები და აგრეთვე კერძო პირები,—სულ ერთია—ვისაც ასეთი ზარალი არ უნდა მოსვლოდეს.

8) გაფიცვა არ სპობს ქირაობითი ხელშეკრულობას დადებულს დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის და არც შეიძლება მოსპოს ის. აგრეთვე გაფიცვის მიზეზით სამსახურიდან არ შეიძლება დათხოვა სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელისა. თუ ეს გაფიცვა გამოწვეულია ადმინისტრაციის მიერ კანონის დარღვევით ან დამქირავებელთა მიერ ქირაობის ხელშეკრულობის არშესრულებით, ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია გაფიცვის მონაწილეთ მთელი გაფიცვის ხელფასი გადაუხადოს.

9) გაფიცულების ალაგას არ შეიძლება სამხედრო პირების, პატიმართა და საზოგადოთ ისეთ პირთა დაყენება, რომლებიც სამოქალაქო ან სამხედრო მთავრობის განკარგულებაში იმყოფებიან. აგრეთვე არ შეიძლება სათადარიგო ჯარისკაცთა ამ მიზნით სამხედრო სამსახურში ან სასწავლოთ მოწვევა რიგს გარეშე საგანგებო განკარგულებით.

10) ზემო ჩამოთვლილი უფლებებით რუსეთის ქვეშევრდომებთან ერთად სარგებლობენ რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები უცხოელებიც.

11) თანამდებობის, გინდა კერძო პირნი რომლებიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან კანონით განსაზღვრულ ფარგლებს გარეშე რუსეთის მოქალაქეთა შევიწროვებაში, დაისჯებიან 6 თვემდე სატუსაღოში დაპატიმრებით, თუ რომ მისი მოქმედება კანონის სხვა მუხლის დარღვევის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რომლითაც სასჯელი გადიდდება.

ამგვარივე სასჯელით დაისჯებიან ის დამქირავებლები და მათი რწმუნებულები, რომლებიც მოპოვებული უფლებებით სარგებლობის შემდეგ მუშას ან მოსამსახურეს ადგილზე მიღებაზე უარს ეტყვიან ან და მათ შესახებ სხვა სამრეწველო დაწესებულებას არასასურველ ცნობებს მიაწვდიან, ანდა ასეთ ცნობებს სხვა გზით გამოაქვეყნებენ—რითაც მუშა-მოსამსახურეთ ადგილის შოვნის საქმეში დაბრკოლებებს გაუჩენენ. ზედმეტი სასჯელი, ესე იგი სატუსაღოში დაპატიმრება ექვსი თვიდან ერთ წლამდე მიესჯება იმ დამქირავებლებს ან მათ რწმუნებულთ, რომლებიც ურთიერთ შეთანხმებით მოაწყობენ მუშა-მოსამსახურეთა მასიურ დათხოვნას (ლოკაუტი) იმ მიზნით, რათა მათ ხელი შეუშალონ კოალიციის სახით მოპოვებულ უფლებათა სარგებლობისა.

12) ისეთი კანონები, რომლებიც ამ ჩამოთვლილ კანონებს არ ეთანხმებიან, უნდა მოსპობილათ ჩაითვალონ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

სამეგრელო.

ქ. ახალ-სენაკში 14 ივლისს შესდგა სენაკის, ძვ. სენაკის და ნოქალაქევის რაიონების სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. კრების მიზანი იყო, მაზრაში ორგანიზაციული შენების საქმეში ერთნაირი სისტემისა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. იასამანი და მდივნად ა. კალანდარიშვილი.

პოლიტიკური სახელმწიფოებრივი კრიზისის შესახებ მოხსენებას აკეთებს მ. კიწმარიშვილი, დაწვრილებით მოუთხრობს კრებას პეტროგრადში მომხდარ ამბებს და ჩვენი ჯარის დამარცხების შესახებ და მათ შედეგებზე. მოუწოდებს კრებას გამოსთქვას თავისი აზრი ამის შესახებ. როგორც გამოირკვა, სოფლებში უცნაური ხმები დადის მოსახლ. არეულობის შესახებ პეტროგრადში, თავი იჩინა დეზერტირობამ, ხალხის ძარცვა გლეჯა და სხ. სოფელს ყურადღება სჭირია; წარმომადგენლები ყველა ორგანიზაციებისა აღიარებენ მოწინავე ამხანაგების დიდ საჭიროებას. ფართო მასა მოითხოვს ჩვენს ორგანიზაციაში შემოსვლას. საჭიროა დიდი ენერგიის და მოქმედების გამოჩენა, რომ წევრების რეგისტრაცია წესდების მიხედვით იქნას შესრულებული.

ამხ. ა. ანჯაფარიძე დაწვრილებით მოუთხრობს კრებას, თუ რა სისტემა დაუდვას საფუძვლად ჩვენმა პარტიამ ამ პასუხისმგებელ მომენტში ორგანიზაციულ მუშაობას.

კრება ადგენს, რომ რაიონების თითოეულ კუთხეში კრებები ხდებოდეს საჭიროებისამებრ, რაიონული კი თვეში ორჯერ... შეადგინეს პროპაგანდისტთა ჯგუფი. ჩაეწერა ოცდა ათი კაცი.

კაკო.

სად. ბალაჯარი.

ბალაჯარის სოც.-დემოკ. რაიონულმა კომიტეტმა 12 ივლის ბაქოიდან მოიწვია ამხ. გ. [illegible]ილა, რომელმაც რკ. გზ. მოსამსახურეთა სახალხო სახლში წაიკითხა ლექცია, ნაციონალურ საკითხზე. ლექტორმა ძლიერ მჭერ-მეტყველურად და გასაგებ ენით წაიკითხა ლექცია. ლექცია უფასო იყო, ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად კმაყოფილი დარჩა.

— ამიერ კავკასიის გზის ბალაჯარის რაიონმა, რომელშიაც შედიან შემდეგი სადგურები: დუვანი, საგანჩალა, პუტა და ეხლათი აირჩია ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში ერთი დეპუტატი სოც. დემოკ. მეისრე ნიკო კალანდაძე. ესერებმა ბრძოლის ბევრი არ დაზოგეს, ფორმები იხმარეს ჩვენს წინააღმდეგ, რომ მათი გაეყვანათ, მარა დამარცხდნენ. სულ ბალაჯარიდან ორი კაცია არჩეული, სადაც ერთს მათგანს კავკასიის გზის მოსამსახურეები ირჩევენ.

— მოხდა სულ ახალი არჩევნები რკ. გზ. მოსამსახურეთა ადგილობრივი რაიონული კომიტეტისა. აარჩიეს იყო სულ 20 კაცი. 12 კაცი ამაში გავიდა სოც.-დემოკრატი, 5 ესერი და 3 უპარტიო.

ძველ-ტყავი.

სენაკის რაიონი.

16 ივლისს შესდგა ძონძარის სოც.-დემ. ძირითადი ორგანიზაციის წევრთა კრება. გაიხსნა კრება საღამოს 4 საათზე. თავმჯდომარეობდა ამხ. იოსებ ხუნწარია. მდივნათ არჩეული იქნა ნ. გუნია. კრებამ მოისმინა ყოვლისა გამუქეთი მოხსენება ამხ. ა. ანჯაფარიძე—დღევანდელ მომენტზე. კრების მიერ ერთხმათ მიღებულ იქმნა მოხსენების ძირითადი დებულებები. მოხსენების შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა სხვა-და-სხვა ადგილობრივ საჭიროებათა საკითხზე. სხვათა შორის ითათბირა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საჭიროებაზე და ერთხმათ დაადგინა აბაშა-მოსამავალში დაარსონ სამკითხველო. ამ საქმის მოწყობა კრებამ დაავალა არჩეულ კომისიას. ამავე კრებამ მოიწვია ძველ სენაკში და ქვეც შესაფერისი რეზოლიუციები განაჩინეს.

დახელი ქალი.

რევოლიუცია პროვინციაში

დემონსტრაცია ბათუმში.

პეტროგრადის 3—5 ამბებს ბათუმშიც გამოეხმაურა. მარა გამოეხმაურა არა ისე, როგორც კიევი, ნიჟნი ნოვგოროდი და სხვა, არამედ ისე, როგორც ეს შეეფერება შეგნებულსა და პოლიტიკურათ გაწვრთნილ დემოკრატიას.

მართალია, რადგანაც რუსეთის რევოლიუციის ბედი ბეწვზე ჰკიდია, არ შეიძლება ამ დროს შეგნებულმა მუშამ, ჯარისკაცმა, გლეხმა და საერთოთ მოქალაქემ გულზე ხელი დაიკრიფოს და შორიდან უცქიროს თუ რა ხასიათს მიიღებს რევოლიუციის მსვლელობა. მართალია, პეტროგრადი როგორც ცენტრი უმთავრეს როლს თამაშობს დღეს, მარა ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პროვინციასაც. ამის მაგალითი მრავალი იცის ისტორიამ. ეს კარგათ აქვთ გათვალისწინებული რეაქციონერებსაც. ამიტომ იყო პეტროგრადის „სიგნალთან“ ერთათ, პროვინციაშიაც აამოძრავეს შავი ძალები.

ასეთ დროს პროვინციის პირდაპირი მოვალეობაა მხარი დაუჭიროს რევოლიუციის ცენტრს და რევოლიუც. საბჭოებს. სამწუხაროთ ამ მხრით პროვინცია სუსტი აღმოჩნდა, რაც რევოლიუციის ზერელობას მოასწავებს. პროვინციის გამოხმაურება რევოლიუციის სასარგებლოთ მხოლოდ რეზოლიუციებში გამოიხატა და ისიც სუსტათ. ვერც მას მიეცა სისტემატიური ხასიათი და ვერ მოხდა საზოგადოებრივი აზრთა მობილიზაცია. დღეს ყველგან არსებობს პარტიული ორგანიზაციები, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები, პროფესიონალური კავშირები და სხვა, მარა მათი ხმა მომხდარ ამბების გამო, ძლიერ კანტი-კუნტათ გაისმის. შეიძლება, რომელიმე პროფესიონალური კავშირი ამ დროს წევრთა რეგისტრაციას ახდენდა და იმას კი არ ფიქრობს, რომ რუსეთის თავისუფლების ბედი წყდება, რაზედაც მისი არსებობაც დამოკიდებული. შეიძლება რომელიმე პარტიული ორგანიზაცია ქალ. არჩევნებით არის გატაცებული და ის კი არ იცის, რომ ყველაფერი ეს წყლის ნაყვაა, თუ რეაქციამ გაიმარჯვა.

კავკასიაში ამ მხრით ბათუმმა დაარღვია საერთო სიჩუმე. კვირას, 16 ივლისს ბათუმის სოც.-დემ. კომიტეტის ხელმძღვანელობით გაიმართა დიდი მიტინგი და დემონსტრაცია. შაბათს გამოვიდა მოწოდებები, სადაც ბათუმის კომიტეტი მოუწოდებდა ყველა მოქალაქეთ მოსულიყვნენ დილის 10 საათზე ქალაქის გუბერნატორის სადგურის წინ მოედანზე და (ეს ის მოედანია სადაც 1903 წ. 17 ივლისს ბათუმის მუშებმა წითელი დროშა აამართეს, რისთვისაც მეფის მთავრობამ მათ ტყვია დაუშინა) გამოეთქვათ თავისი აზრი თანამედროვე მომენტზე. ფურცლებში ნაჩვენები იყო აგრეთვე რაიონებისათვის ცალცალკე მარშრუტი და აგრეთვე საერთო დემონსტრაციისაც.

ყველა რაიონებში დიდ მზადებაში იყვნენ. სამწუხაროთ კვირა დილას დიდი წვიმა მოვიდა. ხელმძღვანელმა კოლექტივმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, გადაედო დემონსტრაცია თუ არა? მან კიდევ გადასწყვიტა გადადება, მარა რაიონებიდან ცნობა მოვიდა ხალხი იკრიბებაო. შეატყობინეს აგრეთვე, რომ მოედანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავიო. ამავე დროს თანდათან ამინდიც გამოიკიდა. მაშინვე გაცნობეს ტელეფონით ყველა რაიონებსა და ჯარისკაცებს დაძრულიყვნენ დანიშნულ მოედნისაკენ.

12 საათზე მთელი მოედანი ხალხით გაიჭედა. მის ზევეებზე წითელი დროშები განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. პირველათ ილაპარაკა მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ანჯაფარიძემ. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც; ყველანი მოუწოდებდნენ მჭიდროთ შეკავშირებულიყვნენ კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ. საერთო წესი მხოლოდ ერთმა რუსმა ჯარისკაცმა დაარღვია, რომელმაც პოგრომული სიტყვა წარმოსთქვა, მარა საბედნიეროთ ვერც ჯარისკაცებში და ვერც მოქალაქეებში თანაგრძნობა ვერ მოიპოვა, გარდა ორიოდე პირისა. დასასრულს ილაპარაკა ნიკ. ჭე—ძემ და სიტყვის გათავების შემდეგ კრებამ ადგილობრივი სოც.-დემ. კომიტეტის სახელით შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ბათუმის მოქალაქეთა და ჯარისკაცთა მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა იქონია რა მსჯელობა პეტროგრადში მომხდარ ამბებისა და ფრონტზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ მსჯელობა, დაადგინა: 1) კადეტების წარმომადგენელთა დროებითი მთავრობიდან გასვლა, რამაც ხელი შეუწყო მთავრობის კრიზისის გამწვავებას, ნიშნავს შეკავშირებული ბურჟუაზიის ჯგუფის რევოლიუციის ღალატს, რომელიც ამით ცდილობს მთელი პასუხისმგებლობა, ძველი მთავრობის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ლიკვიდაციის საქმეში მთავრობის თავზე მარტო პროლეტარიატისა და დემოკრატიის და მით შეასუსტოს ამ უკანასკნელთა რევოლიუციონური ძალა და დასცეს მათი საერთო გავლენა. 2) ხოლო შეიარაღებული გამოსვლები, რომელთაც ადგილი ქონდათ 3—5 პეტროგრადში და რომლებიც მოხდა საბჭოების ნებადაურთველად, ღირსი არიან გაკიცხვისა და არ უნდა ექნეთ შემდეგში მათ ადგილი, ვინაიდან ყოველივე ასეთი დაუკითხავი გამოსვლა ხელს უწყობს ანარქიის შექმნას სახელმწიფოში, კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებასა და რევოლიუციონური ძალების დეზორგანიზაციას. 3) იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, კრება აუცილებელ საჭიროთ სცნობს, რომ პროლეტარიატი და მთელი დემოკრატია კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კიდევ უფრო მჭიდროთ შეკავშირდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტ. საბჭოებისა და დემოკრატიული ქალაქის თვითმართველობების გარშემო, ვინაიდან იგი ღრმათ დარწმუნებულია, რომ ხსნა რევოლიუციონური ძალების შეკავშირებაში და ერთობაშია“. ეს რეზოლიუცია კრებამ ერთხმათ მიიღო.

ამის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ „ლაგერი“ და ბარცხანა ჯერ კიდევ არ მოსულიყვნენ, კრება წითელი დროშებით დაიძრა შეპვლევის ქუჩით, გაიარა მარინეს პროსპექტი და მივიდა „აზიზიეს“ მოედანზე.

1904 წ. იაპონიის ომის დროს, ბათუმის მუშებმა აქ პირველათ გადმოისროლეს ხალხში ლოზუნგი „ძირს ომი!“. ნ. ჭ—ძემ მოაგონა კრებას ეს, მოაგონა ისიც, რომ დღეს 3 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც სამ ძმათა სისხლი იღვრება, მოაგონა ისიც, რომ ომის დაწყებისას, მაშინ, როცა ყველანი გაჩუმდნენ მეფის ხელმძღვანელობით გერმათ მხოლოდ სახ. დუმის სოც.-დემ. ფრაქცია და კავკასიის სოც.-დემოკრატია უჩვენებდა ხალხს, რომ ომი იმპერიალისტებმა დაიწყეს, ხოლო იგი საერთაშორისო დემოკრატიამ უნდა დაათავებინოს და აი, დღეს ეს ჩვენი წინასწარმეტყველება ასრულდა. საერთაშორისო პროლეტარიატის უმთავრეს საქმეს დღეს ომის ლიკვიდაცია შეადგენს და იგი კიდეც შეუდგა ამის სისრულეში მოყვანას.

ამ დროს მოვიდა სოც.-რევოლ. წარმომადგენელი და განაცხადა: ჩვენი სურვილია თქვენ დემონსტრაციას შეუერთდეთო. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივიღეთ მათი წინადადება. მათ ამ დღეს მიტინგი ქონდათ 2 ნახ. საათზე დანიშნული ქალ. თვითმართველობასთან საზოგადოების სიკვდილის წლის თავის აღსანიშნავათ.

რამდენიმე წამის შემდეგ მოვიდა „ლაგერი“ და ბარცხანა წითელი დროშებით და საზეიმო მუსიკით. შემოუერთდნენ სოც. რევოლიუციონერებიც. მთელი მოედანი დემონსტრანტებით გაივსო, ჰქონდა ორი მუსიკა, წითელ დროშებს თვალი არ აქვს; „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ დროშებს გვერდში ამოუდგა „მიწა და თავისუფლება.“ ეს ყველას აზარებს. განსაკუთრებითი ყურადღებას იპყრობენ სოც.-დემოკრატების მიერ ამ დღისთვის დამზადებული დროშები. მათზე რუსულათ, ქართულათ და სომხურათ არის შემდეგი წარწერები: „ძირს კონტრ-რევოლიუცია!“ „გაუმარჯოს რევოლიუციას“!. „ძირს რასკოლი!“—„გაუმარჯოს რევოლიუციონურ ძალთა ერთობას!“ „ძირს რეაქცია!“—„გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“, „ძირს იმპერიალისტები“, „გაუმარჯოს უანექსიო და უკონტრიბუციო საერთო ზავს“, „ძირს შოვინიზმი“—„გაუმარჯოს ინტერნაციონალს“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“, „სრული ნდობა რევოლიუციის მხსნელ მთავრობას და საბჭოებს“ და სხვა.

ამხ. დ. მგელაძემ სოც.-დემ. სახელით მისალმა ყველას და სთქვა: ტყვილათ ფიქრობენ რევოლიუციის მტრები, რომ ჩვენი იდეური უთანხმოებით ისარგებლონ. რევოლიუციის დასაცველათ ჩვენ ყველანი [illegible] უთანხმოებას დავივიწყებთ და საერთო ძალით მტერს შევებრძოლებით. დღეს, დღევანდელმა დღემ ყველას დაანახვა თუ რას ნიშნავს შეერთებული ძალა. თავის მხრით ესერები მიესალმნენ და ხაზი გაუსვეს მას თუ რა დიდი როლი ითამაშა სოც.-დემ. და საერთოთ მარქსიზმმა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში. ყოველ სიტყვის შემდეგ მუსიკა მარსელიოზას უკრავდა.

აქედან დემონსტრანტები ყველა ერთათ მივიდნენ ჯარის-კაცთა დეპ. საბჭოსთან, აქ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა, აღნიშნეს ჯარის-კაცთა დეპ. საბჭოს როლი და შემდეგ გაიარეს თათრის ბაზარი, დუნდუკო-კორსაკოვის ქუჩა, მარინეს პროსპ. და მივიდნენ მუშათა დეპ. საბჭოსთან, სადაც სოც. დემ. ბიუროც არის მოთავსებული. აქ უკანასკნელათ მოკლე სიტყვა უთხრა ამხ. ანჯაფარიძემ და 5 საათი იქნებოდა, რომ დემონსტრაცია დაიშალა.

ეს დღე მრავალი მხრით არის საყურადღებო. ამ დღეს 15 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა ქუჩაში და დავინახეთ, რომ ფართო მასაში რეაქციას ნიადაგი სრულიათაც არ აქვს. მეორე მხრით ამ დღემ ხელი შეუწყო საბოლოოთ უკუ გდებას და დავივიწყებინათ ყველა ის უთანხმოებანი, რომლებიც საქალაქო არჩევნების დროს ორ რევოლიუციონურ პარტიებს შორის წარმოიშვა. ამას კი დღევანდელ კრიზისის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფართო მასის შეკრება და ხელმძღვანელობა ისევ მხოლოდ სოც. დემოკრატიამ შესძლო.

კაცი.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ხაშური. 10 ივლისს დაატყვევეს აქ გიგუცა ძნელაძე და გაგზავნეს გორის კომისარიატის განკარგულებაში. გიგუცა ძნელაძე ეს მესამეთ დაატყვევეს, მას ძველი ცოდვები ბრალდება. იქონია რა მხედველობაში ხაშურის რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა გ. ძნელაძის წარსული მთელი თავისი შემადგენლობით, დაადგინა მისი დატუსაღება და აეკრძალა ამ რაიონში ცხოვრება დროებით. ასეთმა განკარგულებამ ძალზე გააწიწმატა ძნელაძის ნათესავები, აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულება ორ კაცს—ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს—თეიმურაზ ჭუმბურიძეს და ნიკიფორე იმნაიშვილს მიაწერეს და დაიწყეს ამ პირების წინააღმდეგ აგიტაცია. ძნელაძის პატივცემული ნათესავები უფრო შორს წავიდნენ და აი, ამ ბოლო დროს, 11 ივლისს, ძნელაძის დაპატიმრების გამო, ძნელაძის დამ ნინა დევდარიანისამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ამხ. თ. ჭუმბურიძეს ქუჩაში და ვინ იცის რა სახელი არ უწოდა მას. ხაშურის რაიონის მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია რა მსჯელობა ამ უკანასკნელი შემთხვევის შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ნინა დევდარიანისას გამოეცხადოს პროტესტი ამხ. თ. ჭუმბურიძის უსაფუძვლო და დაუმსახურებელ შეურაცხყოფისათვის და მიეცეს უკანასკნელი გაფრთხილება, რომ მეორეთ აღარ იქნეს გამეორებული ასეთი საქციელი.

პრესის ბიუროც თავის გულისწყრომას უცხადებს ხსენებულ ქალს და თავის თანაგრძნობას უძღვნის ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძეს.

პრესის ბიურო.

— —

ხუნევის საზოგადოება. (შორაპნის მაზ.). რევოლიუციამ ბევრი ნაირი თავისუფლება მოგვანიჭა: კრების, ჩვენი ცხოვრების მოწყობის, და სხვ. ამიტომ ყველანი სულით და გულით ვფიქრობთ და ვცდილობთ—რევოლიუციამ გაიმარჯვოს და მოპოვებული თავისუფლება არ დავკარგოთ. ჩვენი მუშა-გლეხება ხალისით მუშაობენ და მხარს უჭერენ ქალაქის მუშებს. მაგრამ ორიოდე ინტელიგენტი აქაც გაჩნდა და ხალხის პირისუფლად მოაქვთ თავი. ესენი ს. ფედერალისტის სახელით ეხლა ამოძრავდნენ და რაღაცის გაკეთება უნდათ. ჩვენ მათ წინათაც ვიცნობდით—ვიცით, რის შემძლე არიან და როგორი გულშემატკივარი არიან ჩვენი. ამიტომ ჩვენი გლეხობა ზურგს აქცევს ხოლმე მათ.

აქ არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი და ერთი [illegible] ქნება, რაც გახსნილი კოოპერატივი. მაგრამ გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ ვერ გაგვიმართლა იმედი. წლიწადი გადის და ანგარიშებს არ გვიდგენენ. ეს კი უკმაყოფილებას იწვევს წევრთა შორის. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და დაჩქარებით გაგვაგებინონ კოოპერატივის მდგომარეობა.

თედოშ მუმლაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას ვუცხადებთ ივანე ილ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც თავის 6 ცნობ-მეგობრებში შეაგროვა ასი მანეთი ვანის სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლად.

ვანის ქ. შ. წ.-კ. საზ. განყოფილების გამგეობა.

ღია წერილი

საქართველოს საკათალიკოსო დროებითი მმართველობის მდივანს ბ. დავითაშვილს და ამავე მმართველობის წევრს მ. დეკ. თალაქვაძეს.

1917 წელს მაისის 18 ს მოხდა თფილისის ქართულ ეკლესიების სამღვდელოების კრება მ. დეკ. ნ. თალაქვაძის თავმჯდომარეობით, რომელ კრებასაც დიაკონთ და მედავითნეთ წარმოუდგინეს თავიანთი ეკონომიური მოთხოვნილება. ბევრი დავა-დარაბის შემდეგ ოქმი შეადგინეს და მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდა. ამ ოქმის ასლს ერთი თვე შესრულდა, რაც ვთხოულობთ და ძლივს ამ ივნისის 17 ვღირსეთ და მივიღეთ, მარა ისიც ბოლო, შეკვეცილი, დამახინჯებული და არა სრული ასლი, რასაც ჩვენ ვთხოულობდით. სასიხარულოა ის მოვლენა, რომ თითქმის ყველა დაწესებულებაში ამ ახალმა რეჟიმმა თავისი ახალი წესები შეიტანა, მაგრამ, როგორც ეტყობა ჩვენს სასულიერო წოდებაში და უწყებაში კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ სინათლემ შეაღწიოს და უმცროსთა პატივისცემა შეითვისონ, განსაკუთრებით კი დაწესებულებებმა. ჩვენ დიაკვნები და მედავითნენი ისედაც დაჩაგრულ-დამცირებული ვართ უფროსებისაგან, მაგრამ ასეს გვაკმარებს საქართველოს საკათალიკოსოს მმართველობის მდივანი ბ. დავითაშვილი. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩვენი გაგზავნილი ამხანაგები მიდიოდნენ ბ. დავითაშვილთან ასლის გამოსატანათ ბევრს ნაწილებს უკითხავდა და დარიგებას აძლევდა, რომ ვითომ ჩვენ უკანონო მოთხოვნილება წარუდგინეთ სამღვდელოებას და არც შეგვეფერება ამნაირი ყოფა და, ეხლა [illegible] არ გამოპო, რაც მის ფუნქციას არ შეადგენს, დღეს-ხვალ [illegible] ჩვენი ამხანაგები ასლის მისაღებათ. ბოლოს როგორც იყო ასლი ბოლო,-შეკვეცილი, დამახინჯებული, ჩვენთვის არა გასაგები გადმოგვცა. ამ ოქმის ასლს ვერ ვხედავთ ამასთან ნაწ. არც რიცხვი სჩანს, როდის არის მიღებული, არც ნომერი, არც ბეჭედი, არც ხელის მომწერთა გვარები და არც ზოგიერთა ჩაგრულთა მოძლვართა შენიშვნები! ამაში კი, ცხადია, დიდი დანაშაული მიუძღვის ბ. დავითაშვილს, რითაც მთელი თფილისის დიაკვნები და მედავითნენი შეურაცხყოფილნი არიან. ნუთუ ბ. დავითაშვილმა არ იცის ასლი როგორ ეძლევა მთხოვნელებს და ან რისთვის?! და თუ ესეც არ იცის აგერ ვიცით ან ძველი მთავრობა როგორ აყენებდა სამსახურში და თუ ამნაირი პირები თავშესაფარს პოულობდნენ, განახლებულ ხანაში რაღა ადგილი აქვს ამისთანა პირს?

ამისათვის მივმართავთ მ. დეკ. ნ. თალაქვაძეს, რომ მან მაინც შეასწოროს ეს შეცდომა, მით უმეტეს, რომ მასაც უწერია ხელი ამ ასლზე და ამ შეცდომისათვის არ ეცით რატომ ყურადღება არ მიუქცევია? ამასთანავე ისიც უნდა იცოდეს მ. დეკ. ნ. თალაქვაძემ, რომ აქ მოხსენებული ოქმი მისი თავმჯდომარეობით არის დადგენილი და ისიც კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ოქმის ასლი მისგანაც მოვითხოვეთ, რაზედაც უარი მივიღეთ, რატომ კი არ ვიცი! ამისათვის ვთხოვთ მ. დეკ. ნ. თალაქვაძეს ამ ოქმის სრული ასლი მოგვცეს და არა ისეთი როგორიც ინება ბ. დავითაშვილმა და გაზეთებშიაც გამოაქვეყნოს იგი. ბ. დავითაშვილს კი ვურჩევთ დიაკვნთ და მედავითნეთ ფრთხილად მოექცეს სანამ იგი ჩვენს უწყებაში მსახურობს და თავის უფლებას ნუ გადასცილდება. ისიც კარგა უნდა მოეხსენებოდეს ბ. დავითაშვილს ის ჩვენთვის არის და არა ჩვენ მისთვის*)

საქართველოს დიაკვნთა და მედავითნეთა ცენტრალური ორგანიზაცია თფილისში.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ნიკო ნიკოლაიშვილი მსახურებდა მე-25 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-10 როტაში და წავიდა ჰოსპიტალში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოთ შემდეგი მისამართით. 25 Кавказскій стрелковый полкъ, 10 я рота Іюліану Баакія.

— სამსონ ქერუს ძე წულაია მსახურებდა კავკასიის ფრონტზე მეორე კავკასიის [illegible] პოლკში, მეორე როტაში. გთხოვთ თუ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოთ. Въ м. Наогалеви (Кут. губ.) Антону Кучуеву Цулая.

— ჯარის კაცი კონსტანტინე სიმონის ძე ჭიპაშვილი იმყოფებოდა კავკასიის მომზ. ჯარში, მე-2 როტაში, მე-3 ზვოდში. გთხოვ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ: Сарикамышъ 3-й Кавказскій инженерный передаточный пунктъ Виктору Чипашвили.

ჩვენი ფოსტა.

ხარაგაულ შ. ხვადაგიანს. „სახალხო საქმე“ და სხვა გვარი გაზეთები თავიან ცრუ კორესპონდენტების წერილებს ხშირად ათავსებენ, მაგრამ შეუძლებელია ყველაზე პასუხი გაეცეთ.

---

*) ასლი მიიღო რედაქციამ.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ველაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კანტის ქუჩა № 1), ღიაა დილ 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში ([illegible] დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

6 ივნისს ბათუმ. მომავალ მატარებელში № 4

დავკარგე

საკერავი მანქანა (ზინგერის ფირ.) № 3246118, კალათი სხვა და სხვა ნივთებით, სადაც სხვათა შორის იყო 30 მან. ფული, და ჩემი მეუღლის მოწმობა (ატესტატი) მოცემული თფ. სახელოსნო სამართველოდან. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს მანქანა, კალათი და მოწმობა, რისთვისაც მიიღებს ჩემგან შესაფერ ჯილდოს (20 მან.) ჩემი მისამართი: Батумъ-Товарная стрѣлочнику Исааку Соломоновичу Бирбичадзе.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფებისათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ, და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმი გ. მ. მეხაძე

იღებს სიფილისით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე კვირა დილის გარდა, მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] სახ. [illegible] № 5—77.

ექიმი კ ი გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—7 ს., კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე. [illegible] ქუჩა, [illegible] სახლში.

ქ. ქუთაისი.

ექიმი შ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, [illegible] ქ., [illegible] სახლი.

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

[illegible] 4—6 საათამდე. [illegible] ტელეფ. [illegible] ქუჩა, №

ექიმი მ. გ. ჰეჟხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს [illegible] 8—5 ნახ. საათამდე, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

[illegible] სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.